პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

საინფორმაციო-განყოფილების
კომუნისტი

დღიური

— ამხ. კრესტინსკი ბერლინიდან მოსკოვს გაემგზავრა.
— იაპონიის ელჩი ტანაკა მოსკოვში 30 ივნისს გამოემგზავრება.
— მოსულის რაიონში ქურთები აჯანყდნენ ინგლისელების წინააღმდეგ.
— 25 ივნისს ლენინგრადში ჩამოვა იტალიის ესკადრა.
— ფრანგი სოციალისტების უმრავლესობა პენლევესათვის მხარის დაჭერის წინააღმდეგია.

ხუთშაბათი, 25 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 143 (1298)

„კომუნისტი“ მიიღება ხელის მოწერა ივლისისათვის

საგადასახადო პრაქტიკა და ფინანსიური მდგომარეობა ადგილებზე

გუშინ ვწერდით ჩვენი რესპუბლიკის მაზრების გამოკვლევის შედეგების შესახებ, რომელიც ჩატარებულ იქნა საქართველოს და ამიერკავკასიის ც. აღმ. კომიტეტების კომისიების მიერ. ეს გამოკვლევა იძლევა საბჭოთა აპარატის და აღმშენებლობითი მუშაობის საერთო სურათს ადგილებზე.

მაგრამ ამასთან ხდება სოფლის ცხოვრების ცალკე მხარეების, ცალკე საკითხების შესწავლაც. ჩვენ დღეს გვინდა შევჩერდეთ ერთი ასეთი ხასიათის გამოკვლევაზე, რომლის მიზანს შეადგენდა ადგილების ფინანსიური მდგომარეობის და საგადასახადო პრაქტიკის გამორკვევა სახ. კომ საბჭოს დადგენილების თანახმად, ფინსახკომის სამმართველოს სპეციალურ კომისია გაეცნო ამ სფეროში საქმეთა ვითარებას ადგილებზე. ამ გამოკვლევის შედეგებზე ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ საუბარს ფინსახკომის სამმართველოს რწმუნებულთან.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ მაისის ბოლო რიცხვებში ჩვენ გაზეთში მოთავსებული გვქონდა რ. კ. პ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის ცირკულიარული წერილი თვითნებობის წინააღმდეგ ადგილობრივი საგადასახადო პრაქტიკაში, რომლის მაგალითები იქვე ბლომად იყო მოყვანილი. ამასთან ერთად დაბეჭდილი იყო ა. კ. მთავრობის დადგენილება, სადაც დაწვრილებით იყო აღნუსხული— თუ რა გადასახადი და გამოსაღები უნდა გადაიხადა გლეხობამ და რა რაოდენობით.

როგორც ეტყობა, პარტიის დირექტივები და ცენტრალური ხელისუფლების განკარგულება ამ საკითხზე ჯერ კიდევ ყველგან არ სრულდება სავსებით. ეხლაც ბევრგანაა გავრცელებული უკანონო საღერბო, მოქალაქეობრივი აქტებისათვის, სასკოლო, საგზაო და სხვა გვარი გადასახადი თუ ბეგარა.

გადასახადების მთლიანი სისტემა, რომელიც შეადგენს ჩვენს მიზანს, არ არის განხორციელებული.

აქა-იქ ისევ ჰქონია ადგილი საბაზრო პუნქტების იჯარით გადაცემას კერძო პირებზე, რასაც მრავალი ბოროტმოქმედება სდევდა თან. უკანასკნელი მდგომარეობა ხსენებული კომისიის მიერ უკვე აღმოფხვრილია.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ხელისუფლებას არა აქვს დაწვრილებითი და ნათელი წარმოდგენა სხვა და სხვა სახის გადასახადებზე, საგადასახადო აპარატიც არ არის მოსახლეობასთან სათანადოთ დაახლოვებული.

მაგრამ არა მარტო ეს გარემოება იწვევს თვითნებობას საგადასახადო პრაქტიკაში ადგილებზე. უკანასკნელნი განიცდიან დიდ ფინანსიურ ხელმოკლეობას. მათი კანონიერი შემოსავალი ძალიან განსაზღვრულია მაზრებს, თემებს ახასიათებს საშემოსავლო წყაროების უკიდურესი სიმცირე. ფინანსიური სილატაკე. ცენტრმა კი უსახსრობის გამო მიაწოდა მაზრებს დაახლოვებით ნახევარი იმ თანხისა, რომლის მიცემაც იმ თავითვე გათვალისწინებული იყო. ხოლო გადაუდებელი აღმშენებლობითი მუშაობა, აგრეთვე სხვა საჭიროებანი დიდძალ ხარჯებს მოითხოვს. ამ ნიადაგზეა ხშირად აღმოცენებული ის საგადასახადო „შემოქმედება“, რომელიც კიდევ გავრცელებულია სოფლად.

მთავრობა ღებულობს სათანადო ზომებს უკანონო გადასახადების მოსასპობად, გლეხობის საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლად, ადგილების ფინანსიური მდგომარეობის გამოსაკეთებლად. წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილ იქნა 2.900.000 მანეთის რაოდენობით, 1925—26 წლისათვის კი იგი შემცირებულია 1.900.000 მანეთამდე, ე. ი. ერთი მილიონი მანეთით. მიმდინარე წელს სამაზრო აღმასკომებს სუბვენციის (დახმარების) სახით მიეცემათ 2.800.000 მან. რაც დიდათ გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას.

კერძოდ, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სათემო ბიუჯეტის საკითხის მოწესრიგება, ამისთვის ერთგვარი მტკიცე, რეალური სამეურნეო ბაზის შექმნა გარკვეულ კალაპოტში ჩააყენებს თემის აღმშენებლობას და ბოლოს მოუღებს უკანონო გადასახადების პრაქტიკას. ამ მხრივ კიდეც გადადგმულია შესაფერი ნაბიჯები.

ბოლოს საჭიროა ადგილობრივი საგადასახადო აპარატის უფრო რიგიანი მოწყობა, მისი მჭიდრო დაკავშირება ხალხთან, უკანასკნელისათვის საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის და საგადასახადო კანონების განმარტება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ წინანდებურად სასტიკად უნდა ვებრძოლოთ უკანონოთ გადასახადების პრაქტიკას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ე. წ. ნებაყოფლობითი გადასახადებს, რომელნიც ხშირად სინამდვილეში იძულებითი ხასიათს ატარებენ. აქ სავსებით უნდა იყოს დაცული ნამდვილი ნებაყოფლობა, ისიც, რათქმა უნდა, არსებულ წესებით განსაზღვრულ ფარგლებში.

გლეხობის და გლეხურ მეურნეობის ინტერესების მაქსიმალური დაცვა—ეს დებულება პრაქტიკაში მტკიცედ უნდა იქნეს გატარებული გადასახადების დარგში სოფლად.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკების საქმიანობაში დღითი-დღე იზრდება. იზრდება კოოპერატიულად დ კავშირებულ გლეხთა მეურნეობის რაოდენობა, იზრდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმიანობაც და დღეს ის, უკვე შეჭრილია სასოფლო-მეურნეობის თითქმის ყველა დარგებში. ახალი ეკონომიური პოლიტიკის და წვრილი გლეხური მეურნეობის არსებობის პირობებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ის მოწოდებულია ამ მეურნეობათა კოლექტიურ ნიადაგზე გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ნამდვილ დახმარებას უწევს გლეხობას მისთვის საჭირო იარაღების მიწოდებით, ნაწარმოების გასაღებით, აგრიკულტურული ცოდნის გავრცელებით, სესხით და სხვა. მხოლოდ ამით აიხსნება ის სტიქიური ლტოლვა გლეხობისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისადმი, რომელიც შემჩნეულია უკანასკნელ წლებში მთელ საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოშიც. საქართველოს შესახებ ეს ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან.

1923 წ. 1 იანვ.	წარმოკავ. ითვლებოდა	4	ამხ.	—2.900	წევრით.
1924 წ. 1 „	— „	25	„	—10.897	„
1924 წ. 1 დეკემბ.	— „	97	„	—19.413	„
1925 წ. 1 მარტისთ.	— „	137	„	26.265	„

დღეს კი აჭარისტანის და აფხაზეთის გამოკლებით საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რიცხვი 150 აღწევს და მათში გაერთიანებულია 29.000 მეურნეობა.

პროცენტულათ კოოპერატიული მოსახლეობის რაოდენობა უახლოვდება 7,6 პროც. (მოსახლეობის რაოდენობა ნაანგარიშევია 1923 წლის აღწერის მიხედვით).

ამნაირად თუმცა მოსახლეობის კოოპერატიულათ შეკავშირების საქმეში სულ ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მიღწევებია. მაგრამ ამით დაკმაყოფილება შეუძლებელია. მუშაობა გლეხობის კოოპერატიული დარაზმვისათვის უნდა გაგრძელდეს მომავალშიც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უფრო ძლიერია აღმოსავლეთ საქართველოში, რაც აიხსნება უმთავრესად იმ გარემოებით, რომ სოფლის მეურნეობის ძვირფასი და სპეციალური კულტურები საქართველოს ამ ნაწილში უფრო განვითარებულია. არსებობენ ამხანაგობები: მევენეთა, სასოფლო-სამეურნეო, მეცხვარეთა, მერძევეთა, მეფუტკრეთა, მეთამბაქოეთა, მებამბეთა, სამელიორაციო და სხვა. რაოდენობის მხრივ წარმოკავშირში პირველი ადგილი უჭირავს მეხილეთა ორგანიზაციებს, შემდეგ მერძევეთა არტელებს და შერეული ხასიათის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს.

წევრთა რიცხვით სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს პირველი ადგილი უკავიათ და მომავალშიაც მოსალოდნელია ამ ამხანაგობების ზრდა-განვითარება, თუმცა ჯერ ჯერობით წარმოკავშირი 76 პროც. სპეციალური სახის კოოპერატივებს აერთიანებს. რაც შეეხება ამ ამხანაგობათა ფინანსიურ მდგომარეობას, მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის მომხდარი გამოკვლევა 47 ძირითადი კოოპერატივებისა შემდეგ სურათს იძლევა. ამ 47 ამხანაგობის ბალანსის ჯამი უდრის 2.928.709 მანეთს, საშუალოდ თითო კოოპერატივზე მოდიოდა 64312 მ. ამ ცნობების მიხედვით შეგვიძლია ვიანგარიშოთ რომ იმ დროისათვის არსებულ 125 ამხანაგობის ბალანსი დაახლოებით 8 მილიონს უდრიდა. აქ აღსანიშნავია საკუთარ საშუალებათა სიმცირე. 47 გამოკვლეულ ამხანაგობათა ბალანსში 2.928.709 მ. საკუთარი საშუალებები შეადგენენ მხოლოდ 9 პროც. აქედან საპაიო თანხა დაახლოებით მხოლოდ 2 პროც. უდრიდა.

რაც შეეხება საქონლის ბრუნვას წარმოკავშირში შემავალ ამხანაგობათა საქონლის ბრუნვა (გარდა ცენტრისა) უდრიდა დებეტით 5.632.875 მან. ხოლო კრედიტით 5.147.750 მ. ეს ციფრები გვიჩვენებენ რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ფინანსიურათ ჯერ კიდევ სუსტია, თუმცა ხანმოკლე არსებობის და კოოპერატივებში გამოცდილ ხელმძღვანელთა უყოლობის დროს ესეც საგრძნობი მიღწევაა. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო დახმარებასთან ერთად წარმოკავშირი ამ ამხანაგობებს დიდ ფინანსიურ-სამეურნეო დახმარებასაც აძლევს. ასე მაგალითად წარსული წლის ბოლოს ძირითად ამხანაგობებზე ითვლებოდა თითქმის 1 ნახ. მილიონი მანეთი.

წარმოკავშირი ამ ამხანაგობათა საშუალებით ამზადებს: ღვინოებს, ხილს, თამბაქოს, ბამბას, რძის ნაწარმოებს, კვერცხებს და სხვა. ამასთანავე ერთად წარმოკავშირი აწვდის ძირითად ამხანაგობებს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, საწამლო მასალას, თესლეულობას, ვაზის და ხეხილის ნერგს და სხვა. მიმდინარე წელს წარმოკავშირში გაერთიანებულმა ამხანაგობებმა დასთესეს თამბაქო 1495 დესეტინა. მოსავალი ნავარაუდევია 100.000 ფუთზე მეტი. დათესილია 5700 დეს. ბამბა, მოსალოდნელია 180.000 ფ.

წარმოკავშირს აქვს თავისი საწარმოო წამოწყებანი, როგორც მაგალითად ქარხანა „ჭაჭა“, რომელიც მიმდინარე წელში დაამზადებს არაყიდან 4 მილიონ გრადუსს სპირტს. იქვე არსებობს საკასრე სახელოსნო, არსებობს აგრეთვე გამსაღებელი პუნქტი და საალაფო თბილისში, რომელთა ბრუნვა უკანასკნელ 4 თვეში 200.000 მანეთს აღწევს. ივნისში დაიწყო მუშაობა მატყლის საწმენდ ქარხანაში, სადაც ითვლება 110 მეტი მუშა, უმთავრესად ქალები. საწყობებში უკვე მოტანილია 24.000 ფუთი მატყლი, რომლიდანაც 1500 ფუთი დახარისხებულია. მატყლის დამზადება წელს კარგათ მიმდინარეობს და თუ ასევე გაგრძელდა წარმოკავშირი შესძლებს წელს 80 ათასი ფუთი მატყლის დამზადებას.

აღსანიშნავია წარმო-კავშირის აგროკულტურული მუშაობა, რომელიც ფინანსიურ დაბრკოლებათა მიუხედავად თანდათან ფართოვდებოდა. არსებობს ვაზის სანერგეები: მუკუზანში, გურჯაანში და ხეხილის სანერგე დუშეთის მაზრაში, ციხის ძირში, იმართებოდა კურსები და ლექცია-საუბრები და სხვა.

ამასთანავე ერთად წარმო-კავშირი აქცევდა ყურადღებას კოოპერატიულ მუშაკთა მომზადებასაც. ცეკავშირთან ერთად მოწყობილ იქნა კოოპერატიული კურსები, რომლებიც დაამთავრა მსმენელების ორმა რიგმა, პირველად 100 და მეორედ 155 კაცმა. სწარმოებდა აგრეთვე სხვა ხასიათის საკულტურო-განმანათლებლო მუშაობაც. თუ წარსულს შევადარებთ წარმოკავშირის ეხლანდელ მდგომარეობას ჩვენთვის თვალსაჩინო იქნება ამ ორგანიზაციის დიდი მიღწევები, როგორც საორგანიზაციო ისე სამეურნეო საქმიანობის მხრივ. ამხანაგობათა რიცხვი 2 წლის განმავლობაში გაიზარდა 150-მდე, წარმოკავშირის ბალანსი 4000 მანეთიდან გადასცილდა უკვე 4 მილიონს უკანასკნელ თვეში.

წლიწადა სრულდება რაც დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის შორის დავა და მოხდა ფუნქციების გამიჯვნა. ამან ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ნაყოფიერ მუშაობას. მაგრამ უკანასკნელ ხანებში სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ დაარსებულმა საკრედიტო ამხანაგობებმა მიყვეს ხელი ამავე საქმიანობას, რომელსაც ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.

ამ პარალელიზმს და მეტოქეობას საზღვარი დაუდო რ. კ. პ. მე-14 კონფერენციამ, რომლის დადგენილებით სოფლად საკრედიტო ამხანაგობები უნდა გაერთიანდნენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებთან, უნდა შეიქმნეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი, რომელიც შევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში და საკრედიტო ფუნქციების მხრივ და დაემორჩილება სასოფლო-სამეურნეო ბანკს. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარება დიდათ შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გაჯანსაღებას და მოღონიერებას.

წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მხოლოდ მეორეჯერ იღებს მონაწილეობას კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩატარებაში. ერთი წლის განმავლობაში ის საკმაოდ გაიზარდა და განმტკიცდა როგორც იურიდიულ-უფლებრივი მხრივ ისე თავისი სამეურნეო საქმიანობით. მომავალი წლისათვის მისი მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო აღორძინების საქმეში კიდევ უფრო გაიზრდება და მიუხედავათ მრავალ დაბრკოლებათა, ის შესძლებს თავისი ამოცანების შესრულებას.

ბუაჩიძე

ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის ჩინეთში

მიტინგების და მანიფესტაციების აკრძალვა შანხაიში.---შავრაზმელ გენერლების თათბირი

იმპერიალისტები პასუხისმგებლობას შანხაისა და ხანკოუს ამბებისათვის ჩინეთის მთავრობას აკისრებენ

იაპონია სცდილობს სეპარატისტულად შეუთანხმდეს ჩინეთს

საალყო წესები შანხაიში

პეკინი, 23 ივნისი. გენერალმა ჩჟან-სუ-ლიანმა (მარშალ—ჩჟან-ძო-ლინის შვილი), რომელიც შანხაიში ჩავიდა, გამოაცხადა საალყო წესები შანხაის ჩინურ ნაწილში, აკრძალა მიტინგები დემონსტრაციები და სიტყვების წარმოთქმა ქუჩებში.

ჩჟან-სუ-ლიანი და გენერალ ლუ-იუნ-სიანი (ცზიან-სუს პროვინციის გუბერნატორი) გაემგზავრენ ტიანცზინში ჩჟან-ძო-ლინთან სათათბიროთ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

ამხ. კარახანი ჩინეთის ამბების შესახებ

პეკინი, 23 ივნისი. იაპონიის გავლენიან გაზეთ „ოსაკა მაინიჩის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კარახანმა განაცხადა:

„გაზეთები ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქოს საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდეს აჯანყებას შანხაიში. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა, ის, ვინც საღ ნაციონალურ მოძრაობაში ხედავს, მხოლოდ ბოლშევიკურ ინტრიგებს, კისერს მოიტეხს საკითხისადმი ზერელე მიდგომის წყალობით.

თუ უცხო ქვეყნებს მართლა სურთ, რომ ჩინეთში მტრულ განწყობილებას უცხოელების მიმართ მართლა მოეღოს ბოლო, მათ უნდა ძირითადათ შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა და შესწყვიტონ ჩინეთის ხალხის დამცირება. უაზროთ ხვრეტა უიარაღო სტუდენტებისა შანხაიში უდიდესი სისულელეა. **ჩინელები არასდროს არ დაივიწყებენ ამ დანაშაულს.**

უცხოელთა პრივილეგიური მდგომარეობა ჩინეთში იქნება მუდმივი კონფლიქტების წყარო და ის უნდა გაუქმებული იქნეს, თუ უცხო ქვეყნებს მართლაც სურთ აღადგინონ ჩინეთის ხალხთან ნორმალური ურთიერთობა.

დიპლომატიური კორპუსის თათბირი ჩემ მიერ არ ყოფილა მოწვეული, დიპლომატიურ კორპუსს, როგორც მთელს, არავითარი კავშირი არა აქვს ჩინეთის ამბებთან. ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებს მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნების ერთი ჯგუფი და ისინი არიან პასუხისმგებელნი ჩინეთის ამბებისათვის.

საფრანგეთის პოლიციის „მუყაითობა“

პარიზი, 23 ივნისი. საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა სამი კაცი ჩინელთა იმ ჯგუფიდან, რომელნიც მივიდენ ჩინეთის საელჩოში.

დაპატიმრებულნი გადასცენ სასამართლოს. მათ ბრალდებათ ელჩის ბინაში ძალით შეჭრა და უკანასკნელისათვის საფრანგეთის მთავრობის სახელზე დაწერილ განცხადებისათვის ხელის მოწერის გამოთხოვა (განცხადება შეიცავდა პროტესტს საფრანგეთის რაზმების ჩინეთში მოქმედების გამო).

მომხდარი ამბების გამო საელჩოს მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საელჩოში მოსულ ჩინელთა განცხადებების ავტორების მიერ ადგილი არ ქონდა არც მუქარას და არც დაშინებას.

მდგომარეობა ჩინეთში უარესდება

ლონდონი, 24 ივნისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ უკანასკნელი დეპეშების თანახმად, **მდგომარეობა ჩინეთში უარესდება.** სააგენტო ირწმუნება, რომ ცნობები იმის შესახებ, თითქოს, ჩინეთის ამბების გამო უთანხმოებას აქვს ადგილი ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის, სიმართლეს არ შეეფერება.

იმპერიალისტების ახალი ნოტა

პეკინი, 23 ივნისი. იტალიის ელჩმა ჩერუტტიმ დაინტერესებულ სახელმწიფოთა სახელით გადასცა ჩინეთის მთავრობას ახალი ნოტა ჩინეთის 20 ივნისის ნოტის საპასუხოდ.

სახელმწიფოები ხელახლა უარს ამბობენ შანხაიში და ხანკოუში მომხდარ ამბებისათვის პასუხისმგებლობაზე.

სერ რეჯინალ სტებსი უკმაყოფილოა

პეკინი. 23 ივნისი. მდგომარეობა გონკონგში რთულდება. შეიარაღებული გუშაგები იცავენ ქუჩებს.

გონკონგის მთავრობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც დაცვის სრული გარანტია ეძლევათ ჩინელებს, რომელნიც სამუშაოს არ სტოვებენ და მთავრობა 2.000 დოლარს ჰპირდება „თავიანთ პოსტებზე დაღუპულთა ოჯახების წევრებს.

„რეიტერის“ სააგენტოს კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გონკონგი არასოდეს არ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში.

გონკონგის გუბერნატორი ინგლისელი რეჯინალდ სტებსი აპირობდა ლონდონში გამგზავრებას 27 ივნისს, მაგრამ გამგზავრება გადასდო გამოურკვეველი [illegible] მეზღვაურთა [illegible] გამო. გამოსამშვიდობებელ [illegible] დროს სტებსმა განაცხადა: თუ ეს [illegible] გაგრძელდა მივიღებ განსაკუთრებულ ზომებს. რომელიც არაფრად სასიამოვნო იქნება იმ პირთათვის, რომელთა წყალობით ჩემი გამგზავრება გადაიდო“.

იაპონია სცდილობს სეპარატიულად შეუთანხმდეს ჩინეთს

პეკინი, 23 ივნისი. იაპონიის გაზეთების ცნობით იაპონიის ელჩმა პეკინში იოშიზავამ განაცხადა, რომ საკითხები რომელთაც კავშირი აქვთ იაპონიის საფეიქრო ფაბრიკების გაფიცვასთან შანხაიში, ჩქარა იქნება მოწესრიგებული. ამ საკითხებს ამ ჟამად იხილავენ დაინტერესებული წარმოებანი და იაპონიის კონსული.

იოშიზავამ ხაზი გაუსვა, რომ საკითხის განსაკუთრებული ხასიათისა გამო, სათანადო მოლაპარაკება არ იწარმოებს დიპლომატიურ კორპუსთან.

ეს ამტკიცებს, რომ იაპონია სცდილობს მიაღწიოს სეპარატიულ შეთანხმებას ჩინეთთან და გარეგნულად დაიცვას ერთიანი ფრონტი ინგლისთან.

ინგლისის საწინააღმდეგო პროკლამაციები

პეკინი, 23 ივნისი. ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადა პროტესტი იმის გამო, რომ ქუჩებში ავრცელებენ ინგლისის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციებს, პლაკატებს და სხვადასხვაგვარ წიგნაკებს.

რწმუნებული მოითხოვს მიიღოს მთავრობამ სათანადო ზომები სტუდენტების ამგვარი მოქმედებათა წინააღმდეგ.

უჩანის ხანკოუს და სხვა პროვინციების საზოგადო ორგანიზაციებმა წარუდგინეს მთავრობას მოთხოვნილება გადააყენოს და სამართალში მისცეს გენერალი სია—სია—ონანი ინგლისელების დახმარებისა და ხანკოუში მომხდარ დახვრეტებში მონაწილეობის მიღებისათვის.

რა გამოიყვანს ინგლისს ეკონომიური კრიზისიდან

ინგლისის მუშები მოითხოვენ სავაჭრო ურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან

ლონდონი, 23 ივნისი. 23 ივ. ინგლისის სამთომადნო მუშათა ფედერაციის დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ კუკი და პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს წარმომადგენლები, ესაუბრა ბალდვინს და სხვა მინისტრებს ნახშირის მრეწველობაში კრიზისის და უმუშევრობის შესახებ.

უმუშევრობასთან ბრძოლის საშუალებათ დელეგაცია სთვლის საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკების განახლებას „საბჭოთა კავშირის სრული პოლიტიკური ცნობის მიზნით.“

და აგრეთვე იმისათვის, რათა წაქეზებული იქნას საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობა სავაჭრო შეღავათების კანონის გამოყენების გზით. დელეგაციამ აღნიშნა, რომ შეუძლებელია ინგლისის საგარეო ვაჭრობის აღდგენა, **სანამ საბჭოთა კავშირი არ იქნება მიღებული ევროპის სხვა ერთა წრეში.**

გარდა ამისა კუკმა აღნიშნა, რომ შეუძლებელია მოწესრიგებული იქნას უთანხმოებანი მწარმოებელთან.

იუწყებიან, რომ ბალდვინმა გაურკვეველი პასუხი გასცა დელეგაციას.

ჯარების გაყვანა რურიდან

პარიზი, 23 ივნისი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ის ზომები, რომლებიც მიიღეს პანლევემ და ბრიანმა რურიდან ჯარების გაყვანის შესახებ. **რურიდან ჯარების გაყვანისათვის მზადება დაიწყება ახლო მომავალში.**

ინგლისის მუშების ბრძოლა

ლონდონი, 23 ივნისი. სამთომადნო წარმოებების მეპატრონეთა და სამთომადნო მუშების წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომაზე მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ იმ დაბრკოლების მთავარი მიზეზი, რომელსაც ნახშირის მრეწველობა განიცდის, უნდა ვეძიოთ წარმოების ხარჯების გადიდებაში, ეხლა მომქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებაში და სამუშაო დღის შემცირებაში. მწარმოებლებმა წინადადება შეიტანეს შემოღებული იქნეს რვა საათის სამუშაო დღე, რისთვისაც საჭირო იქნება მთავრობას მიმართონ თხოვნით, რომ პარლამენტის საშუალებით გატარებული იქნეს სათანადო კანონი.

მუშების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს განეხილათ საკითხი სამუშაო დღის გადიდების შესახებ.

კუკმა განაცხადა, რომ ეს ნიშნავს გაერთიანებული კომისიის მუშაობის დასრულებას და რომ მთელი საქმე გადაეცემა სამთომადნო მუშების ფედერაციის დელეგატთა კონფერენციას, რომელიც შეიკრიბება 3 ივლისს.

საგარანტიო ხელშეკრულების წინააღმდეგ

ლონდონი, 23 ივნისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მუშათა **პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ჰგმობს საგარანტიო ხელშეკრულების პროექტს.** რეზოლიუცია მოითხოვს გაფართოებული იქნეს ერთა ლიგის შემადგენლობა გერმანიის და საბჭოთა კავშირის შეყვანით და ამას გარდა აყენებს თავის გეგმას, რომლის მიხედვით საგარანტიო ხელშეკრულება დადებული უნდა იქნეს ყველა სახელმწიფოებს შორის.

იაპონიის ელჩის გამომგზავრება საბჭოთა კავშირში

ტოკიო, 23 ივნისი. საბჭოთა კავშირში ელჩად დანიშნული ტანაკა ტოკიჩი **ტოკიოდან გამოემგზავრება 30 ივნისს.** მასთან ერთად მოდიან გენერალ-ლეიტენანტი **ნაკაზატო,** საზღვაო ბაზის ყოფილი უფროსი **მაიზურუ,** რომელიც დანიშნულია იაპონიის ნავთის კომპანიების წარმომადგენლად, ოკუმურა მაზაო, ნავთის კომპანიის ერთერთი მოღვაწე, მიტცუბიში—ჩრდილოეთ სახალინის სამთომადნო მრეწველობის კომპანიის წარმომადგენელი და **კაზაკამა ტოშიხიკო,** რომელიც თავის დროზე მოლაპარაკებას აწარმოებდა მთავარი მრჩეველის სახით ტოკიოში იოფესთან.

ომი მაროკოში

საუბარი აბდ-ელ-ქერიმთან.

ლონდონი, 23 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს აბდ-ელ-ქერიმის საუბარს „ჩიკაგო ტრიბუნის“ კორესპონდენტთან.

აბდ-ელ-ქერიმმა განაცხადა, რომ ის წინადადებას აძლევს საფრანგეთს შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება და დაიცვას ალჟესირასის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საზღვრები. აღიარებული უნდა იქნეს რიფების დამოუკიდებლობა.—„ჩვენ მოვითხოვთ—განაცხადა მან—ძველი რიფების საზღვრების დაცვას, საზღვრების, რომელშიაც შევა რიფების ოლქი, ცეუტა და მელილა, მაგრამ მზად ვართ შემდეგ შევცვალოთ ეს საზღვრები. შემდეგ აბდ-ელ-ქერიმმა განაცხადა, რომ მას არასოდეს განზრახული არ ჰქონია ფეცის აღება, არასოდეს არ სცდილობდა მაროკოს სულთანობას ან ხალიფატის აღდგენას.

შემდეგ აბდ-ელ-ქერიმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საფრანგეთი ასახლებდა მის წარმომადგენლებს, აპატიმრებდა მის კურიერებს და კონფისკაციას უშვებოდა მის საქონელს.

კორესპონდენტის შეკითხვაზე დასთანხმდებოდა თუ არა ის ზავზე იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნებოდა ალჟესირასის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღვრები, აბდ-ელ-ქერიმმა პირველად უპასუხა **„ჩვენი იარაღი დააწესებს საზღვრებსო“,** მაგრამ შემდეგ სთქვა, რომ ის მზადაა განიხილოს საფრანგეთთან ერთად საკითხი ზავის შესახებ“.

პენლევე იმუქრება

პარიზი, 23 ივნისი. პენლევემ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ სასამართლო ორგანოების წარმომადგენლებს მიცემული აქვთ ინსტრუქციები ზოგიერთ დეპუტატების პასუხისგებაში მიცემის შესახებ. (ლაპარაკია კომუნისტ დეპუტატებზე, რომელთაც აბრალებენ „კავშირს“ რიფებთან).

პენლევეს განცხადება დეპუტატთა პალატაში.

პარიზი, 23 ივნისი. დეპუტატთა პალატაში გამოსვლის დროს პენლევემ განაცხადა, რომ სავსებით საფრანგეთის ჯარების ხელშია უერგის ხაზი, რომელსაც ისინი გასცილდებიან ორ მთავარ პუნქტში და შემდეგ საფრანგეთის ხაზი გაწმენდილი იქნება. **რიფების ბელადმა აბდულქერიმმა კიდევ არ აიღო ხელი თავის პროექტებზე და აცხადებს სამღვთო ომს. დათმობით საფრანგეთი ზავს ვერ მიაღწევს, პირიქით, ამათ კიდევ უფრო გაადიდებს სამხედრო მოქმედების ასპარეზს.**

შემდეგ პენლევე ახსენებს, თითქოს, ზინოვიევის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ სამღვთო ომი მაროკოში ხელსაყრელი იქნება საბჭოთა მთავრობის მოქმედებისათვისო. ის ეხება დორიოს გამოსვლის და კომუნისტების წერილს აბდელქერიმისადმი, აგრეთვე კომუნისტების პროპაგანდას საფრანგეთში.

პრემიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **„იუმანიტე“-მ გამოაქვეყნა სამხედრო ხასიათის ცნობები, რომელიც შეიძლებოდა ჩასულიყო აბდელქერიმის ყურამდეო.** პენლევემ მოიყვანა მარტის წერილი, სადაც ის სურვილს გამოსთქვამს, რომ ჯარისკაცებმა ხელფეხი შეუკრან ოფიცრებს და ძმობა გამოუცხადონ რიფებს.

პენლევე მიმართავს სოციალისტებს და ამბობს: „მუშათა კლასის წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ მიატოვონ მთავრობა ასეთ პირობებში. იმ საკითხში, რომელიც შეეხება მთელს ერს, მე შევეცდები მივიღო მთელი ერის ნდობა. იმ დროს, როცა საფრანგეთის მოქალაქეები იბრძვიან და კვდებიან საფრანგეთის ინტერესებისათვის, ერი უნდა იქნეს გაერთიანებული თავისი ცივილიზაციის მისიის შესასრულებლად“.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

საფრანგეთის სოციალისტების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა პენლევეს

პარიზი, 23 ივნისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ შეკითხვას პალატის სოციალისტურ ფრაქციაში მომავალი პოზიციის შესახებ ასეთი შედეგები მოჰყვა:

მთავრობისათვის მხარის დაჭერის წინააღმდეგ წავიდა 60 კაცი, მხარის დაჭერის შეწყვეტას, მაგრამ მხარის დაჭერის განახლების შესაძლებლობას უმრავლესობის სხვა ჯგუფებთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ, მიემხრო—47 კაცი; მთავრობისათვის შემდეგშიაც მხარის დაჭერის განსაზღვრულ პირობებში —12.

მუშტი-კრივი პალატაში

პარიზი, 23 ივნისი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება:

„პრემიერ პენლევეს სიტყვის შემდეგ პალატამ დაადგინა გადაიდეს შეკითხვების განხილვა. **კომუნისტმა დორიომ დაახასიათა საბჭოთა კავშირის კულტურულ მიღწევათა უპირატესობა დასავლეთის კაპიტალისტურ ცივილიზაციის წინაშე. დორიოს სიტყვის დროს პოლკოვნიკი კიკო შევარდა ტრიბუნაზე და ეტაკა დორიოს.** დეპუტატები მიცვივდენ და აშველებდენ მათ. მაშინ პალატის თავმჯდომარემ ერიომ დახურა სხდომა.

რა ხდება ბულგარეთში

ბულგარეთის კომუნისტების პროცესი.

ვენა, 23 ივნისი. სოფიაში განახლდა ბულგარეთის კომუნისტების პროცესი, რომელიც შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღით.

ბრალდებულმა **კამაკჩიევმა** განაცხადა, რომ პარტიის ცეკას დაპატიმრებამდე არ მიუღია არავითარი გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ. კომპარტია მუშაობდა ლეგალურად და განზრახული ჰქონდა არალეგალურ ორგანიზაციების მოწყობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ

ანგორა, 23 ივნისი. როგორც იტყობინებიან, მოსულის ქურთების ბრძოლა ინგლისელების წინააღმდეგ გრძელდება.

აჯანყებას სათავეში უდგას შეიხი მახმუდი.

ინგლისის ხელისუფლება აიძულებს მოსახლეობას ხელი მოაწეროს მის მიერ შედგენილ პეტიციაზე, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის პირები რომლებმაც ერთა ლიგის კომისიის მიერ მოხდენილ ანკეტის დროს ხმა მისცეს ოსმალეთთან შეერთებას, მოსყიდული იყვნენ ოსმალების მიერ. იმათ, ვინც უარს ამბობს ხელი მოაწეროს პეტიციას, საშინლად აწამებენ.

ჰენდერსონი თავს იმართლებს

ლონდონი, 23 ივნისი. ჰენდერსონმა გამოაქვეყნა განცხადება ნიუბრეიტონში შემდგარ მიტინგის შესახებ, **რომელზედაც მას გამოსვლის ნება არ მისცეს და პროტესტი განუცხადეს იმის გამო,** რომ მან არ შეასრულა თავის დროზე დაპირება გაფიცვისათვის დათხოვნილ პოლიციელების უკანვე მიღების შესახებ.

განცხადებაში ჰენდერსონი ამბობს, რომ, თუმცა ის გმობს სიტყვის თავისუფლების ასეთ დარღვევას, მაგრამ მას ესმის დათხოვნილი პოლიციელების სულიერი განწყობილება და მათი მდგომარეობის სიმძიმე. ამავე დროს ჰენდერსონი ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, მას საშუალება არ ჰქონდა უკანვე მიეღო დათხოვნილები.

ეს განცხადება საერთოდ ისე მიიღეს, რომ ჰენდერსონს სურს მთელი პასუხისმგებლობა ამ საკითხში დააკისროს მაკდონალდს.

იტალიის ესკადრის სტუმრობა

ლენინგრადი, 24 ივნისი. ჩამოვიდა საზღვაო წარმომადგენელი იტალიის საელჩოსთან საბჭოთა კავშირში, მირალია.

„როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ ის ლენინგრადში ჩავიდა იტალიის ესკადრის შესახვედრად, რომელიც უნდა მოვიდეს 25 ივნისს. მირალიამ სთქვა: „მე ამ ესკადრის ჩამოსვლას დიდ მნიშვნელობას ვაძლევ. **ეს სამსახურს გაუწევს მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის.** ესკადრა დარჩება ლენინგრადში სამი დღე. მე დღეს მომივიდა ცნობა, რომ ესკადრა გამოვიდა კოპენჰაგენიდან“.

სალამი საქ. მშრომელთ ინგლისის მუშა ქალთა დელეგაციისაგან

ინგლისის მუშა-ქალთა დელეგაციამ თავის გამგზავრების წინ ვლადიკავკასისკენ, გადასცა ამხ. მარიამ ორახელაშვილის შემდეგი დეკლარაცია:

ჩვენ არ შეგვიძლია დავტოვოთ საქართველოს საზღვრები ისე, რომ არ გამოვსთქვათ ჩვენი მადლობა იმ თბილი და ამხანაგური შეხვედრისათვის, რომელიც ჩვენ ვპოვეთ საქართველოს პროფკავშირთა ორგანიზაციების, საქართველოს საბჭოთა მთავრობის და ყველა ადგილობრივ ამხანაგების მხრივ, რომლებთანაც ჩვენ მოგვიხდა საქმის დაჭერა.

ჩვენ სრული და ყოველმხრივი საშუალება გვქონდა აქ მოკლე ხნით დარჩენის დროს გავცნობოდით ამ მშვენიერი ქვეყნის ცხოვრების პირობებს.

ეხლა, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყველა ცნობები უწესრიგობის, სასტიკი მართვა-გამგეობის, რუს ბოლშევიკების მიერ ქართველი ხალხის დაჩაგვრის შესახებ, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ყოველგან ჩვენ დავინახეთ ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სწრაფი აღორძინების ნიშნები და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით ქართველი ხალხი ესალმება საბჭოთა მთავრობას, რომელიც შესდგება საქართველოში მხოლოდ ქართველებისაგან და წარმოადგენს ქართველ მუშებს და გლეხებს.

ჩვენ უსურვებთ საქართველოს პროფკავშირებს და საბჭოთა მთავრობას ყოველგვარ წარმატებებს მუშაობაში ქვეყნის სამეურნეო და კულტურული დონის ასამაღლებლად.

მერი კვეილ,
ა. ბრიჯ,
ა. ლოკლეი,
ლიდი ესპინალ.

საფრანგეთის და ბელგიის მუშების დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი

დელეგაციის შემადგენლობა.

16 ივნისს მოსკოვში ჩავიდა ბელგიის და საფრანგეთის მუშების—შრომის საერთაშორისო კონფედერაციის წევრების დელეგაცია.

ბელგიის დელეგაციაში შედიან შემდეგი ამხანაგები: **ლიევანი** და **ლეკრენიე** — სამთომადნო მუშების კავშირის წევრები, **კოშუნი** და **ეგარიკე**—მელითონეთა კავშირის წევრები, **ხოონი**—კომუნალური დარგის მუშაკთა კავშირიდან, **ვერკრესტი**—მტვირთველთა კავშირიდან.

საფრანგეთის ჯგუფი შესდგება შემდეგი ამხანაგებისაგან: **კაზენეკი**—ბორდოს მბეჭდავთა კავშირის მდივანი, **ხენისი**—ბორდოს ლიტოგრაფთა კავშირის მდივანი და **ჟიპულუ**—მელითონე.

საუბარი დელეგატებთან.

მოსკოვის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ამხ. **ხენისმა** საფრანგეთის მუშების ჩამოსვლის მიზანის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენ საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გასაცნობად მოგვიპატიჟა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ. ჩამოსული დელეგატები—უმთავრესათ დაზგასთან მდგომი მუშებია; ისინი ითვლებიან შემთანხმებელ პროფკავშირების წევრებათ. ჩვენ ყველანი ვემხრობით პროფესიონალური მოძრაობის ერთიან ფრონტს.

შემთანხმებელ პროფკავშირებში დიდი ხანია იხილავენ საკითხს საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან ურთიერთობის შესახებ, ამასთანავე ამ საკითხის განხილვის დროს დიდ უთანხმოებას აქვს ადგილი. ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა კავშირზე სხვადასხვაგვარი ცნობებია გავრცელებული.

ჩვენ განზრახვა გვაქვს ადგილობრივ პირადათ გავეცნოთ მუშების მდგომარეობას, შრომის ხელფასს და სხვა, რომ საშუალება გვქონდეს სწორათ გავაშუქოთ თქვენი ქვეყნის ცხოვრება და ამით განვამტკიცოთ ერთიანი ფრონტის მომხრეთა პოზიცია.

ამავე საუბრის დროს ბელგიელი მუშების ჩამოსვლის შესახებ ლეკრენიემ განაცხადა:

— ჩვენ არავის არ გამოუგზავნივართ საბჭოთა კავშირში. ჩვენს წარმომადგენლებს, რომლებიც შესდგებიან უბრალო მუშებისა და ქვედა საფეხურის პროფესიონალური მუშაკებისაგან, განზრახვა აქვთ მიუდგომლათ გაეცნონ იმას, თუ რა გააკეთა და რას აკეთებს თქვენს ქვეყანაში რევოლიუცია.

შემთანხმებელი პროფკავშირების მოღვაწეები გვეუბნებიან ჩვენ, რომ რუსეთის რევოლიუციას არაფერი არ მიუცია მუშათა კლასისათვის, რომ არ მივბაძოთ რუსეთის ამხანაგებს. მეორე მხრივ, ჩვენ დავინახეთ, რომ ტრანსპორტის მუშათა ფედერაციის მდივანმა, ამხ. ფიმენმა, რომელმაც დაათვალიერა საბჭოთა კავშირი, საბოლოოთ შეიცვალა აზრი რუსეთის რევოლიუციის ბედზე და ის გახდა რუსეთის ამხანაგებთან ერთიანი ფრონტის შექმნის მომხრე.

ეინშტეინი მოდის საბჭოთა კავშირში

ლენინგრადი. 24 ივნისი. ბერლინიდან დაბრუნებულმა აკადემიკოსმა სტეკლოვმა, რომელიც წასული იყო იქ სამსახურის საქმის გამო, „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბერლინში ის შეხვდა ეინშტეინს, რომელიც დაბრუნდა იქ სამხრეთ-ამერიკიდან. ეინშტეინმა აღუთქვა მას ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში სამეცნიერო აკადემიის საიუბილეო ზეიმზე. გარდა ეინშტეინისა ამ ზეიმზე დასწრების სურვილი განაცხადა მრავალმა გერმანელმა მეცნიერებმა.

ჩვენი საფინანსო მდგომარეობა

ამხ. რიკოვის სიტყვა

საკავშირო საფინანსო თათბირზე

მოსკოვი, 24 ივნისი. 22 ივნისს, მეორე საკავშირო საფინანსო თათბირზე რ. კ. პ. ცეკას და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მისალმებით გამოვიდა რიკოვი.

საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება.

რიკოვი აღნიშნავს, რომ მომავალში ფინანსიური დარგის მუშაკებს დასჭირდებათ უფრო გაძლიერებული, უფრო მძიმე მუშაობა, ვინემ დღემდე, რადგან **პოლიტიკა ფინანსიური მეურნეობის დარგში გატარებული უნდა იქნეს თვითეულ ცალკე გადამხდელთათვის, განსაკუთრებით გლეხისათვის საგადასახადო ტვირთის საგრძნობლად შემცირების პირობებში.** ეს მომენტი, ეჭვს გარეშეა, გაჯანსაღებას შეიტანს მთელს მუშაობაში და გლეხობასთან დამოკიდებულებაში.

მომავალმა წლებმა უნდა დაგვანახვოს, რომ **ჩვენს სახელმწიფოს ფინანსიურ ორგანოების სახით შეუძლია არა მარტო გადასახადების აკრეფა მოსახლეობისაგან, არამედ აგრეთვე დახმარების გაწევა მისთვის და განსაკუთრებით მისი ღარიბი მშრომელი ნაწილისათვის.** საბჭოთა კავშირის მთელს სახალხო მეურნეობას ემჩნევა გარკვეული წინსვლა საწარმოო ძალების ჩქარი ზრდის, საერთო სამეურნეო ბრუნვის აჩქარების და სიმდიდრის დაგროვებისაკენ, სილარიბის აღმოსაფხვრელად.

მოსავალის გასაღება.

ორ მთავარ ამოცანაში, რომელიც ამჟამად დასმულია ჩვენს წინაშე, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მუშაობის უნარი შეცვლილ პირობებში. **ეს ამოცანებია—მოსავლის გასაღება, ახალი მტკიცე ბიუჯეტის შედგენა და განხორციელება.**

მოსავალს წელს უფრო კარგი პირი უჩანს, ვიდრე შარშან, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს გამოიყენოს დამატებითი რესურსები მომავალი მოსავალის გასაღებისათვის რათა არა თუ დაიცვას ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღდგენის ტემპი, არამედ საგრძნობლადაც ააჩქაროს ის. მოსავალის გასაღებას, ალბად, მოჰყვება მოთხოვნილების გადიდება სამრეწველო საქონელზე. ჩვენ შევდივართ პურის დასამზადებელ კამპანიის ხანაში ბაზრის ტევადობის ზრდის პირობებში, რაც საშუალებას არ გვაძლევს ვიქონიოთ სამრეწველო საქონლის მნიშვნელოვანი მარაგი, რომელსაც გეგმაშეწონილად მივაწოდებდით მოსავალის გასაღების პერიოდში პურის დასამზადებელ მთავარ რაიონებს.

ეს მოითხოვს ფინანსიურ ორგანოებისაგან ისეთი ხელმძღვანელობის გაწევას პურის დამზადების კამპანიისათვის, რომელიც საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს გამოეყენებია სავალიუტო რესურსები იმისათვის, რომ უცხოეთიდან შემოეზიდა საქონელი და მიეწოდებია ის საგლეხო და ქალაქის ბაზრისათვის. ამასთან დაკავშირებით ისმება პურის ფასების პრობლემა. ფასების პოლიტიკა გატარებული უნდა იქნეს ისე, რომ გლეხებმა საყვედური არ გვითხრან პურზე დაბალი ფასების არსებობის შესახებ.

საჭიროა ყოველივე ძალ-ღონით უზრუნველვყოთ გლეხობისათვის მისაღები ფასები, საჭიროა საკმაოდ დავაკმაყოფილოთ საგლეხო ბაზარი სამრეწველო საქონლით.

მტკიცე ბიუჯეტი.

მეორე ამოცანის შესრულება—მტკიცე ბიუჯეტის შექმნა დიდი მიღწევა იქნება ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის მოწესრიგების დარგში. ამ მუშაობას ვაწარმოებთ იმ დროს, როცა ქვეყნის საწარმოო ძალები იზრდება ჩქარი ტემპით, როცა მრეწველობის ცალკე დარგები სცილდებიან ომამდე არსებულ ნორმებს, როცა სახელმწიფოს წინაშე ცხოვრება აყენებს სახალხო მეურნეობის რეორგანიზაციის ურთულეს ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ დიდძალ ხარჯებს როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის დარგში. სახელმწიფოს რესურსების გადიდება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაზე, აღებ-მიცემობის გაფართოებაზე და აჩქარებაზე. საგადასახადო ტვირთის არავითარ გადიდებაზე—განსაკუთრებით გადამხდელების მთავარი მასის გლეხობის მიმართ—ლაპარაკიც არ შეიძლება.

მოსახლეობის კულტურული დონეს ამაღლება.

მატერიალურ-სამეურნეო ზრდა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოვყოთ კულტურულ ზრდისაგან. ქალაქის და სოფლის მოთხოვნილებები არა მარტო ელემენტარულ წერა-კითხვის ცოდნის მხრივ, არამედ აგრეთვე აგრონომიულ და ტეხნიკურ-უმაღლეს და საშუალო განათლების მხრივ ყოველ წლობით მატულობს. და შეუძლებელია იმის ფიქრი, რომ შეიძლება სამეურნეო საკითხების გადაჭრა ისე, რომ არაფერი გააკეთო კულტურულ დარგში. წერა-კითხვის უცოდინარ მოსახლეობით არა თუ შეუძლებელია სოციალიზმის დამყარება, არამედ საერთოდ შეუძლებელია საწარმოო-ტეხნიკური ბაზის შექმნა ოქტომბრის შემდეგი მეურნეობისათვის.

ასეთია ამოცანები, რომლებიც სდგას მთავრობის და ამ თათბირის წინაშე, რადგან ჩამოთვლილ საკითხებს ახლო კავშირი აქვს ფინსახკომის და სახელმწიფო ბანკის აპარატებთან.

ფინანსიური დარგის მუშაკის უშუალო ამოცანები.

აუცილებელია, რომ გადასახადების აკრეფა და საფინანსო აპარატის დამოკიდებულება მთელი მოსახლეობისადმი იყოს წმინდა კანონიერ ჩარჩოებში, რაც დაწესებულია კანონით, საფინანსო ორგანოებმაც ის უნდა უზრუნველჰყონ სახელმწიფოსათვის; უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აგრეთვე ისიც, რომ არაფერი არ იქნება წაღებული კანონს გარეშე.

ფინანსიური დარგის მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ აგრეთვე უფრო მეტი ყურადღება გადასახადების გადამხდელთა ფართო მასებისადმი. **ჩვენი ამოცანაა მოვსპოთ მოსახლეობის ზედმეტად დაბეგვრის შემთხვევები** და არ დავუშვათ უკანონო გადასახადები, რომელთაც კრეფენ ადგილობრივი ორგანოები.

საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ფინანსიური დარგის მუშაკებმა იმ საჩივრებს და გაუგებრობებს, რომელთაც ადგილი ექნება ფინანსიურ და საგადასახადო ხაზით.

რიკოვის სიტყვა დაფარულ იქნა მქუხარე ტაშისცემით.

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

აზერბეიჯანი

კერძო მწარმოებლების წინააღმდეგ.

ბაქო, 24 ივნისი. კერძო მწარმოებლების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გამო კერძო ნავთის სამრეწველოების მუშებმა გამოუცხადეს გაფიცვა.

ბანდიტების ჯგუფი

ბაქო, 24 ივნისი. მაზრის საზღვარზე გამოჩნდენ შეიარაღებული ბანდიტთა ჯგუფები, რომლებიც იტაცებენ საქონელს.

რიზა-ხანი.

ლენქორანი. 24 ივნისი. სპარსეთის ასტარაში ჩამოდის სპარსეთის პრემიერი რიზა-ხანი. ქალაქი საზეიმოდ არის მორთული.

ბაქოს ბაზრობის შედეგები

მოსკოვი, 24 ივნისი. გუშინ შინავაჭრობის სახალხო კომისარიატში **სირომოლოტოვის** თავმჯდომარეობით შესდგა ბაქოს ბაზრობის მომწყობ სრულუფლებიან კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა ბაქოს ბაზრობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ლაქტიონოვის მოხსენება ბაქოს ბაზრობის შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, **რომ ბაქოს მიმდინარე წლის ბაზრობა დიდის წარმატებით ჩატარდა.** ბაზრობის ბრუნვა უდრის 16,9 მილიონ მანეთს, რომელიც წარსული წლის ბაზრობის ბრუნვას აღემატება 99 პროც.

ბაზრობაზე პირველათ მიიღეს მონაწილეობა ოსმალეთის ვაჭრებმა. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სპარსელმა ვაჭრებმა და სპარსეთის მთელმა რიგმა ფირმებმა, რომელთაც სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთთან ომის წინა ხანებში, მაგრამ მონაწილეობა არ მიუღიათ წინა ბაზრობებზე.

ბაქოს ბაზრობაზე მიმდინარე წელში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებმა. ბაზრობაზე შემოტანილი იყო 20,5 მილ. მანეთის საქონელი. საერთო რაოდენობიდან საბჭოთა საქონელი იყო 60 პროც., სპარსული—38 პროც.

ვაჭრობა შაქრით, მანუფაქტურით და ნავთით მეტად გაცხოველებულათ ჩატარდა. დიდი მოთხოვნილება იყო წარმოდგენილი სატყეო მასალაზე, მაგრამ ის მცირე რაოდენობით იყო ბაზრობაზე. დიდი მოთხოვნილება იყო აგრეთვე წარმოდგენილი პირველი ხარისხის გამხმარ ხილზე, რომელიც ცოტა იყო ბაზრობაზე.

შეეხო რა კრედიტების მიცემის პირობებს, მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი შეღავათები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდა ბაზრობის მონაწილეებს. საერთოდ საკრედიტო დაწესებულებების მუშაობა ბაზრობაზე სავსებით დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე დამაკმაყოფილებლად მუშაობდა საბირჟო კომიტეტიც, რომელიც ბაზრობის მთავარი სამუშაო აპარატი იყო.

ჰარიმანის კონცესიის გარშემო

ჰარიმანის რწმუნებულების მ. რასკოვიჩის და ბ. შელინგსის ჩამოსვლის შესახებ.—შავი ქვის 30 კერძო სამრეწველო ფირმა და ჰარიმანი.—„ჩემო“-ს გაუქმების წინ.—ბრძოლა ჭიათურის შავი ქვისათვის; ჰარიმანის კონკურენტები.

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ ჰარიმანის რწმუნებული ინჟინერი რასკოვიჩი თბილისში ჩამოვა ამ კვირის ბოლოს.

ბ. რასკოვიჩთან ერთად ჩამოდის აგრეთვე ბ. შელინგსი, რომელიც, როგორც ვიცით, ხელმძღვანელობას გაუწევს საკონცესიო წარმოების ფინანსიურ მხარეს.

მათი ჩამოსვლა რამოდენიმედ დაგვიანდა, რაც აიხსნება მით, რომ მათ უხდებათ ფართო მოსამზადებელი მუშაობის გაწევა საკონცესიო წარმოების მოსაწყობად. როგორც ჩვენ გვატყობინებენ, ჰარიმანმა წინადადება მისცა შავი ქვის კერძო სამრეწველო ფირმებს, რომლებიც შედიან საზოგადოება „ჩემო“-ში, შეუთანხმდენ თანამშრომლობის შესახებ მას—ჰარიმანს.

ამ ფირმების რიცხვში შედიან როგორც ადგილობრივი (ქართული და ბერძნული), ისე უცხოეთის („კარუტო“, „გელზენკირხენ“, „დიუპრე“ და სხვ.). ფირმები, სულ—30.

ჰარიმანმა წინადადება მისცა ყველა ამ ფირმებს განიხილონ მათთვის წარდგენილი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ და თუ დამაკმაყოფილებლად სცნობენ მას, ხელი მოაწერონ 35 დღის განმავლობაში ჰარიმანსა და საბჭოთა კავშირის მთავრობას შორის მთავარ ხელშეკრულების დადების დღიდან. როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, უმრავლესობა კერძო ფირმებისა, რომლებმაც განიხილეს ეს ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ, თანახმაა ხელი მოაწეროს მას. ამ ხელშეკრულების მთავარი პირობები გამოქვეყნებული იყო გაზეთებში.

ამრიგად, ეხლა ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ იქნეს განაწილებული ამ კერძო ფირმების მონაწილეობა ჰარიმანთან თანამშრომლობაში.

იმის გამო, რომ კერძო ფირმების უმრავლესობა მისაღებად სთვლის ჰარიმანის მიერ წარმოდგენილ პირობებს, განზრახულია საკითხის დასმა საზოგადოება „ჩემო“-ს გაუქმების შესახებ.

ამრიგათ, შავი ქვის კერძო სამრეწველო ფირმების უმრავლესობის გადაწყვეტილების გამო დასმულია საკითხი „ჩემო“-ს ლიკვიდაციის შესახებ.

როგორც ჩვენ გვატყობინებენ, კერძო ფირმები სცდილობდენ მიეღოთ კონცესია, მაგრამ თავისი ფინანსიური სისუსტის გამო ვერც ერთი მათგანი ვერ შესძლებდა იმ ვალდებულებების აღებას, რომლებიც წამოაყენეს საბჭოთა კავშირის და საქართველოს მთავრობებმა კონცესიის გაცემის პირობათ და რომლებზედაც დათანხმდა მხოლოდ ჰარიმანი.

იმის საჩვენებლად, თუ რამდენად სერიოზულია ჰარიმანის მიერ თავის თავზე აღებული გარანტიები, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მეტოქეობაში, რომელიც თან სდევდა მოლაპარაკებას ჭიათურის შავი ქვის შესახებ, მონაწილეობას იღებდა არა მარტო 30 კერძო სამრეწველო ფირმა, არამედ ისეთი ძლიერი ჯგუფებიც, როგორიც არის გერმანული „დოიჩე ბანკ“ და ინგლის-ბელგიის ფინანსისტები.

ამ [illegible] ფირმებმა ვერ შესძლეს გარანტიების მოცემა იმის შესახებ, რომ ისინი უზრუნველყოფდენ ექსპორტის მინიმუმს და სატონო გადასახადს.

გერმანელები დიდხანს სცდილობდენ მიეღწიათ პირობების შემსუბუქებისათვის და უარი სთქვეს კონცესიაზე მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირის მთავრობამ გადაჭრით გაილაშქრა მათ მიერ წამოყენებულ პირობების წინააღმდეგ.

ბელგიელებმა ლაპარაკიც კი არ მოისურვეს იმ პირობების შესახებ, რომლებსაც აყენებდა საბჭოთა კავშირის მთავრობა.

გერმანელები ჰარიმანს გიჟს უწოდებდენ; მათის აზრით, ის მეტათ მძიმე ვალდებულებას კისრულობდა.

სხვათა შორის გერმანელები უკანასკნელ მომენტამდე დარწმუნებული იყვენ, რომ ჰარიმანი ხელს არ მოაწერდა ხელშეკრულებას.

როგორც ჩვენ გვატყობინებენ, თბილისში გაჩნდენ ვიღაც აფერისტები, რომლებიც, ვითომდა, ჰარიმანის რწმუნებულების სახით აგროვებენ თანამშრომლებს კონცესიის სამმართველოსათვის.

ჩვენ დავალებული გვაქვს განვაცხადოთ, რომ არც ჰარიმანს, არც მის წარმომადგენლებს არავისთვის არ დაუვალებია ვიღაც თანამშრომლების შეკრება. ასეთ აფერისტებს უნდა მოვექცეთ ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი კანონმდებლობა.

დღეს, ხუთშაბათს 25 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე კავშირების ცენტრალურ გამგ. წევრთა და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტების თანადასწრებით, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

ს. პ. კ. ს. მეოთხე პლენუმის უკანასკნელი გაფართოებული სხდომა

დღის წესრიგშია:

ამხ. შალვა ელიავას მოხსენება

ჭიათურის შავი ქვის კონცესიით გაცემის შესახებ.

ს. პ. კ. ს პ. | მგ. მდივანი: **გ. ჟურულაშვილი.**

პარტიული ცხოვრება

ჩვენი ყოველდღიური მუშაობიდან

(გორის მაზრა)

გორის მაზრის პარტიული ორგანიზაცია, როგორც წევრების რაოდენობით—ისე მისი შემადგენლობის თვისობრივი მხარის მიხედვით ერთ-ერთ ძლიერი ორგანიზაციათ ითვლება. ეს უმთავრესათ აიხსნება იმით, რომ გორის ორგანიზაციაში გაერთიანებულია ისეთი მუშათა რაიონები, როგორც ხაშურის რკინისგზის დეპო და ბორჯომის სახერხი ქარხანა. მუშათა კომუჯრედებში მყოფი ამხანაგები ეხმარებიან სოფლებს, სადაც ზოგჯერ მუშაობა ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე.

რა ზომებს ღებულობს ამის გარდა გორის სამაზრო კომიტეტი სოფლად მუშაობის გასაცხოველებლათ? ამ მიზნით პარტკომმა გამოყო სოფლის ყველა უჯრედებისათვის გადამთვალიერებელი კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა უჯრედების როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეების შესწავლა. განსაკუთრებით კი დიდი ყურადღება ჰქონდა მათ დავალებაში დათმობილი, თუ როგორ მონაწილეობას იღებენ პარტიის წევრები, საბჭოების მუშაობაში, რაში გამოიხატება მათი მუშაობა საგლეხო კომიტეტებში, როგორ ეხმარებიან ადგილებზე მომხმარებელ საზოგადოებების მიერ ბაზრის დაპყრობას, რამდენათ აქტიურია მათი მონაწილეობა ნებაყოფლობით საზოგადოებებში (რემედასი, „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობას, წითელი ჯვარის, ბავშვთა მეგობართა საზოგადოებაში და სხვა).

გარდა ამისა, მაზრაში ყოველგვარი კამპანიები ტარდება წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, რამაც გამოიღო კარგი შედეგები. ხოლო, სამწუხაროთ, ბეჭდვითი სიტყვის აგიტაციის საქმე ვერ სდგას თავის სიმაღლეზე; თუმცა მაზრაში გამოდის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის ორგანო, „წითელი ქართლი“, მაგრამ ამ ადგილობრივი გაზეთის სოფლის გლეხკაცობათა შორის გავრცელების საქმე ვერ იქნა მოგვარებული. გაზეთმა უკვე შემოიკრიბა თავის გარშემო მუშკორები და გლეხკორები, რომლების წერილებსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

საშეფო კომისიების მუშაობა კარგ დონეზე სდგას; მათი დახმარება უმთავრესად გამოიხატება ქოხ-სამკითხველოებზე ჟურნალ-გაზეთების მიწოდებაში და სამოსწავლო ნივთებით დახმარებაში. მაზრაში არსებობს 1-ლი საფეხურის საბჭოთა პარტიული სკოლა, რომელშიაც სწავლობდა 48 კურსანტი, ამ კურსანტების ნივთიერად უზრუნველყოფაში დიდ დახმარებას უწევდა სამაზრო აღმასკომი.

ამ ბოლო დროს მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს მოძრავი პოლიტ-სკოლების მუშაობა. ამ სკოლებს ხელმძღვანელობს მომზადებული ამხანაგები.

ქ. პატარაია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

მუშაობა ნორმალურად სწარმოებს

(ს. ქვიანი, გურია)

ს. ქვიანში არსებობს ა. ლ. კ. კ-რი 1921 წლიდან. დღეს ეს ორგანიზაცია აერთიანებს 28 კაცს. უჯრედი მეცადინეობას აწყობს ყოველ შაბათ-კვირას, რომელზედაც ესწრება უპარტიო ახალგაზრდობაც.

კომკავშირის მეთაურობით იქნა წარმოდგენა გამართული მცირე ფასებში სამკითხველოს სასარგებლოთ.

მეცადინეობის დროს უჯრედთან შეერთებულია პარტიული მუშაკებიც. მუშაობა უჯრედში ჯერ-ჯერობით ნორმალურად სწარმოებს.

ამ ბოლო დროს აღიძრა ლაპარაკი საექსკურსიოთ წასვლაზე ჭიათურაში მაღაროების დასათვალიერებლათ.

იმედი გვაქვს, რომ რკ.-გზის სამმართველო უფასოთ დაგვითმობს რონოდას.

დ. ფ.

ჭიათურის შავი ქვის კონცესია

ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ჭიათურის შავი ქვის კონცესიით გაცემის პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობის გაცნობა მშრომელ მასსებისათვის საჭიროა და აუცილებელიც. ამიტომ წინადადება გეძლევათ ჩაატაროთ ფართო კამპანია ამ კონცესიის შესახებ. როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში უნდა მოაწყოთ საჯარო კრებები. მოხსენების დროს იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოყვანილ თეზისებით.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი: მ. კახიანი.
ს. კ. პ. ც. კ. საპრ. განყ. გამგე: ვ. ბახტაძე.

1) საბჭოთა კავშირი, რომელიც შეადგენს დედა-მიწის მეექვსედ ნაწილს მთელ თავის სივრცეზე ფლობს უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეს, რომლის დასამუშავებლათ საჭიროა სათანადო კაპიტალი და ტეხნიკური ძალები.

2) ჩვენი კავშირი ღარიბია კაპიტალით და ტეხნიკით. მთელ თავის მატერიალურ და ტეხნიკურ რესურსებს საბჭოთა ხელისუფლება პირველ რიგში ახმარს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის იმ დარგთა აღორძინებას და განვითარებას, რომლებიც შეადგენენ აუცილებელ საარსებო ბაზას სოციალისტურ წარმოებისა და რომელთა გარეშე ჩვენი ქვეყანა დაჰკარგავდა თავის ეკონომიურ დამოკიდებულებას, გადაიქცეოდა კაპიტალისტურ ქვეყნების უბრალო კოლონიათ.

3) ჩვენი კავშირის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ არამც თუ შესძლო თავის ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა, მსოფლიო იმპერიალისტების იერიშების მოგერიება და პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება,—მან მოახერხა აგრეთვე შედარებით მოკლე დროში უცხო კაპიტალის დაუხმარებლათ ომისა და რევოლიუციის დროს დანგრეული მეურნეობის აღდგენა და გამაგრება. დღეს მრეწველობაში 70 პროც. ომის წინა დროის დონისა და სოფლის მეურნეობაში 85 პროც. უკვე მიღწეულია. ოროოდე წელიწადში ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ომის წინა დროის მდგომარეობას გადააჭარბებს.

პროლეტარიატს შეუძლია უცხო კაპიტალის დაუხმარებლათ, თავისი საკუთარი ძალ-ღონით, მშრომელ გლეხობასთან ერთად, შემდეგშიაც განავითაროს და გააფართოვოს სოციალისტური მეურნეობა, დაამუშაოს ბუნების სიმდიდრე და ის მთელ მშრომელ ხალხის კეთილდღეობის წყაროთ გახადოს, მაგრამ, ამას უნდა დიდი კაპიტალი და შედარებით მეტი დრო. და ეს მით უფრო, რომ კაპიტალისტებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ტეხნიკური ბაზა (ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი და სხვა) ერთ-ორ წელიწადში სავსებით უკვე გამოყენებული და ამუშავებული იქნება ჩვენ მიერ; ამიტომ მუდმივი განვითარება და გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება საჭიროთ გახდის ერთბაშათ დიდი თანხების დახარჯვას, რაც, თავისუფალ კაპიტალის ნაკლებობის გამო, მოკლე დროში ძალიან ძნელათ მოსახერხებელი იქნება ჩვენთვის.

4) სოციალისტური წარმოება რომ უფრო დაჩქარებული ტემპით განვითაროთ, მეურნეობაში ახალი საწარმოო ძალები ავამოქმედოთ, დამზადებულ პროდუქტთა რაოდენობა გავადიდოთ და მით გაფართოებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება შევსძლოთ,—საჭიროა, სხვა ზომებთან ერთად, უცხო კაპიტალის და განვითარებულ ქვეყნების ტეხნიკურ ძალების გამოყენება. ერთი საშუალებათაგანი ამ მიზნის მისაღწევათ არის კონცესია.

5) თავის საკონცესიო პოლიტიკაში საბჭოთა ხელისუფლება ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით: ა) კონცესიით გაცემა დასაშვებია სახალხო მეურნეობის მხოლოდ ისეთი დარგის, რომელსაც ან სრულებით არ საჭიროებს ჩვენი წარმოება და მისი პროდუქცია მთლად საზღვარ-გარეთ იგზავნება, ან და ეს დარგი იმდენათ მდიდარია ჩვენს კავშირში, რომ შინაგან საჭიროებას სჭარბობს და ზედმეტის კონცესიით გაცემა შესაძლებელია;

ბ) კონცესიებში უპირატესობა ეძლევა სამრეწველო, სატყეო და სასოფლო-სამეურნეო კონცესიებს, რადგან სწორედ ამგვარ კონცესიებს შეუძლია შესამჩნევად გაზარდოს ჩვენი ძირითადი კაპიტალი, განავითაროს საწარმოო ძალები, მუშაობაში ჩააბას უმუშევართა მნიშვნელოვანი რაოდენობა და ჩვენ გლეხურ წვრილ წარმოების ქვეყანაში განავითაროს მსხვილი მანქანური წარმოება, შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმებით:

გ) პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი პრინციპები და ჩვენი პოლიტიკური სუვერენიტეტი სავსებით დაცული უნდა იქნეს საკონცესიო პირობებში.

დ) გარდა ეკონომიურ სარგებლობისა, კონცესიას ჩვენი ხელისუფლება ხშირათ იყენებს აგრეთვე, როგორც დიდ პოლიტიკურ იარაღს კაპიტალისტურ ქვეყნებთან საქმიან-ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობის დასამყარებლად და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გასამაგრებლად.

6. ჭიათურის შავი ქვის კონცესია აკმაყოფილებს ყველა ამ პირობებს, ის მნიშვნელოვანია ჩვენი კავშირისთვის როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მხრივ.

7. ეკონომიური მნიშვნელობა ჭიათურის კონცესიისა გამომდინარეობს უმთავრესად იმ ოთხ ვალდებულებისაგან, რომლის შესრულება, ხელშეკრულების ძალით თავს იდო და მატერიალურად უზრუნველყო კონცესიონერმა. ეს ვალდებულებები გამოხატულია ხელშეკრულების იმ მუხლებში, რომლებიც ეხება: 1) საკონცესიო წარმოებაში ჩასადებ კაპიტალის სიდიდეს, 2) ქვის ამოღებისა და ექსპორტის მინიმუმის რაოდენობას, 3) სატონო გადასახადისა და მთავრობის შემოსავლის რაოდენობას და 4) კონცესიონერისა და მუშების ურთიერთობის საკითხს.

8. პირველი ვალდებულების თანახმად, კონცესიონერი მოვალეა 5 წლის განმავლობაში დღიდან ხელშეკრულების დადებისა ააგოს და გააკეთოს: ა) ჭიათურაში: ახალი სისტემის ქვის გასარეცხი ქარხნები, ნაცვლად ამჟამად არსებულ დაძველებულ ქარხნებისა, რომლებზედაც გარეცხის დროს 40 პროცენტამდე ქვა იკარგება; მექანიკური ტრანსპორტი ქვის მისატანად მაღაროებიდან ქარხნებამდე და ქარხნებიდან რკინის გზის ბაქნებამდე. ნაცვლად მამა-პაპური ურმებისა, რომლებშიაც ქვის გადატანის დროს კაცი და ხარი მუხლამდე ტალახში იფლება და დამატებით კიდევ ორი-სამი პროცენტები ქვა იკარგება; ბ) საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონს შუა ახალი ფართე ლიანდაგიანი რკინის გზა რომლის საშუალებით ჭიათურაში დატვირთული ქვა პირდაპირ ფოთში ჩატანილი იქნება, შორაპანში გადაუტვირთველათ, ნაცვლად ეხლანდელ მოშლილ და დაძველებულ ვიწრო ლიანდაგიან რკ. გზისა, რომელიც იწვევს შორაპანში ქვის გადატვირთვას ერთი ვაგონიდან მეორეში: გ) ფოთში: მექანიკური მოწყობილობა (ელევატორი) ქვის გემებზე დასატვირთავათ, არსებულ ხელით სატვირთავის ნაცვლათ.

ყველა აქ ჩამოთვლილ მოწყობილობების ასაშენებლად კონცესიონერმა უნდა დახარჯოს იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება, მაგრამ არა ნაკლები 8.000.000 მანეთისა. ამ თანხიდან ნახევარი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ მანქანებისა და მასალების ღირებულებათ უნდა ვიანგარიშოთ, ნახევარი კი, ე. ი. 4.000.000 მანეთი ფულათ დაიხარჯება აქ მუშების ხელფასისა და ჩვენში დამზადებულ მასალების ღირებულების სახით. რკინის გზის, ქარხნების და ელევატორის ასაშენებლად საჭირო იქნება ათასობით მუშა ხელი, რაც შესამჩნევად შეასუსტებს უმუშევრობას ჩვენში.

9. მეორე ვალდებულების თანახმად კონცესიონერი მოვალეა კონცესიის ვადის. ე. ი. 20 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად ამოიღოს და გაიტანოს საშუალოდ მშრალი ქვა არა ნაკლები 800.000 ტონის, ე. ი. 56.000.000 ფუთის. კონცესიის გაცემამდი ამოღებულ და გატანილ ქვის საშუალო რაოდენობა არ აღემატებოდა 29.000.000 ფუთს წელიწადში. ამ ციფრებიდან აშკარად სჩანს, რომ კონცესიის გაცემით გაორკეცდება ჭიათურის შავი ქვის წარმოება, გაიზრდება მთავრობისა და რკინისგზის შემოსავალი, გადიდდება წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვი.

ციფრებში რომ გამოვხატოთ ეს შემოსავალი, მივიღებთ შემდეგს: თვით ღირებულება ერთი ტონა (62 ფ.) ქვისა ფოთში ჩატანილი და გემში დატვირთული (აქ შედის მუშის ხელფასი, ახარიცხი მთავრობის სასარგებლოდ, ფრახტი ფოთამდე და სხვა) შეადგენს დაახლოვებით 10 დოლარს. ეს მოგვცემს 800.000 ტონაზე 8.000.000 დოლარს, ანუ დაახლოვებით 16.000.000 მანეთს წელიწადში. ეს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემოსავლის მინიმუმი რომელიც უზრუნველყოფილია საკონცესიო ხელშეკრულებით, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრივ იმას, რომ ფოლადის მსოფლიო წარმოება, რომელიც ჯერ კიდევ დაბლა სდგას ომის წინა წლებთან შედარებით, თანდათანობით იზრდება და ვითარდება ყველა სამრეწველო ქვეყნებში, უფრო მეტად ამერიკაში: მეორე მხრივ—რომ შავი ქვის წარმოების მთელი საქმის მსხვილ კაპიტალისტურ ნიადაგზე დაყენებით შესამჩნევად შემცირდება ქვის თვით-ღირებულება, რაც შესაძლებელად გახდის ჭიათურის ქვის გაიაფებას სხვა ქვეყნის შავ ქვასთან შედარებით,—ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოხმარება და ფაქტიური გაზიდვა ჩვენი ქვისა საზღვარ-გარეთ ბევრად გადააცილებს ზემონაჩვენებ საექსპორტო მინიმუმს—56.000.000 ფუთს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიანგარიშებთ, რომ საკონცესიო წარმოების გაშლისა და ბაზრის თანდათანობითი დაპყრობის პროცესში შავი ქვის ფაქტიური გაზიდვა ადვილად შეიძლება ავიდეს საშუალოდ 80.000.000 ფუთამდე წელიწადში. ეს კი ნიშნავს 50 პრ-ით გადიდებას ზემოაღნიშნულ უზრუნველყოფილ შემოსავლის მინიმუმისას. ე. ი. ჩვენი სახალხო მეურნეობის ფაქტიური შემოსავალი ამ კონცესიიდან მიაღწევს დაახლოებით 24—25.000.000 მანეთს წელიწადში. კონცესიის გაცემით ჰარიმანის (ამერიკელ) ფირმაზე ჩვენ საშუდამოდ უზრუნველვყავით ჭიათურის ქვა ამერიკის ფართე ბაზრით და მით შეუძლებელი გავხადეთ ამ ბაზარზე აფრიკის, თუ ინდოეთის, ან სხვა ქვეყნის ქვის გაბატონება.

10. მესამე ვალდებულების თანახმად, კონცესიონერი იხდის მთავრობის სასარგებლოდ ყოველ გადატანილ მშრალ ტონაში (62 ფ.) პირველ სამ წელიწადს 3 დოლარს, შემდეგ წლებში—4 დოლარს. ეს გადასახადი გამოანგარიშებულია იმ ფასების მიხედვით, რომელიც ეხლა არსებობს მსოფლიო ბაზარზე და რომელიც საკმაოდ მაღალია ომის წინა წლებთან შედარებით. ამ ვალდებულების მნიშვნელობა ჩვენთვის იმაში გამოიხატება, რომ აქ კონცესიის მთელი ვადით, ე. ი. 20 წლით განსაზღვრულია მტკიცე სატონო გადასახადი (3 და 4 დოლარი), რომლის შემცირება კონცესიონერს არ შეუძლია მაშინაც კი, როცა ბაზარზე ფასი დაეცემა. ასეთი დაცემა კი შესაძლებელია მოხდეს. ამგვარად ფასების ცვალებადობის „რისკი“ კონცესიონერს აწევს კისერზე. ამავე ვალდებულების ძალით კონცესიონერი მოვალეა 20 წლის განმავლობაში გადაუხადოს მთავრობას 16.000.000 ტონის გასატან ქვაში 64.350.000 დოლარი, რაც შეადგენს წელიწადში საშუალოდ 3.000.000 დოლარზე მეტს, ე. ი. 6.000.000 მანეთს. აღნიშნული თანხა უნდა იხადოს კონცესიონერმა იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ბაზარზე დეპრესიაა, ქვა არ იყიდება. აქაც მთელი „რისკი“ ბაზრის კონიუნქტურისა კონცესიონერს აწევს კისერზე და ის მთავრობას სრულებით არ ეხება. ყველა, ვინც კი გაცნობილია შავი ქვის გასაღების პერიოდულ კრიზისებთან. ადვილად მიხვდება, თუ რამდენად მძიმე და სახიფათოა კონცესიონერისთვის და რამდენად ხელსაყრელია მთავრობისათვის ხელშეკრულების ეს მუხლი.

11. მეოთხე ვალდებულების თანახმად, კონცესიონერი მოვალეა მუშების დაქირავების საკითხში სავსებით დაემორჩილოს საბჭოთა შრომის კანონებს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ შრომის ექსპლოატაციაში კონცესიონერის მადას მტკიცე საზღვარი აქვს დადებული. ხელფასისა და შრომის სხვა პირობების გამომუშავება სავსებით დამოკიდებულია ურთიერთ შეთანხმებაზე მუშებსა და კონცესიონერს შორის.

საკონცესიო წარმოებისთვის საჭირო მუშები კონცესიონერი ვალდებულია აიყვანოს საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების რიცხვიდან; მას უფლება აქვს მხოლოდ კვალიფიციური მუშების რაოდენობის 15 პროც. საზღვარგარეთიდან მოიწვიოს. უმაღლესი ადმინისტრაციის მოწვევის საქმეში კონცესიონერი იმითაა შეზღუდული, რომ ის ვალდებულია ყოველ დარგში იყოლიოს სპეციალისტები საბჭოთა მოქალაქეებიდანაც.

კონცესიონერი ვალდებულია ამუშაოს საკონცესიო წარმოებაში, შესაფერი ხელფასის მიცემით, სტუდენტი-პრაქტიკანტები და უმაღლეს ტეხნიკურ სკოლის კურს დამთავრებულნი—მთელი მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის 2 პროც..

12. პოლიტიკურადაც დიდათ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს კონცესია. ჰარიმანი—ამერიკაში რკინიაგზის მეფეთ წოდებული—ამერიკის მსხვილი საფინანსო-სამრეწველო კაპიტალისტების ჯგუფს წარმომადგენელია. ამ ჯგუფის შემოსვლა ჩვენში იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად ყოველნაირი ცილისწამებისა და ჭორებისა, რომელსაც ავრცელებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, თვით ყველაზე განზე გამდგარი კაპიტალისტური სახელმწიფო—ამერიკაც, იძულებულია იცნოს ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გამაგრება და მას ანგარიში გაუწიოს. ეს იმის მომასწავებელია, რომ ამერიკის ხელმძღვანელ წრეების პოზიციაში, რომელიც ამ დრომდე ყველაზე შეურიგებელი იყო ჩვენდამი, ცვლილება მოხდა ჩვენდა სასარგებლოდ. საქმიან კავშირის დაჭერას აუცილებლად მოჰყვება დიპლომატიური და პოლიტიკური კავშირის აღდგენაც. ბოლოს ის კონცესია კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად ინგლისის რეაქციონურ მთავრობის უკანასკნელ ცდისა—შეექმნა ჩვენს წინააღმდეგ კაპიტალისტების ჩაერთო ფრონტი და ჩვენი ქვეყნისათვის ფინანსიური ბლოკადა გამოეცხადებია, ეს ცდაც, როგორც სხვა უწინდელი ცდები, დამარცხდა. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა შესძლეს ამ ბლოკადის გარღვევა.

ს. კ. პ. ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს [illegible]

საქართველოს მაზრების ფინანსიური გამოკვლევა

(საუბარი ფინსახკომის რწმუნებულთან საქართველოში ამხ. თედო ღლონტთან)

უკანონო გადასახადები ადგილებზე.—ალმასკომების მიერ სამაზრო პუნქტების იჯარით გაცემა კერძო პირებზე.—მაზრების და თემების მძიმე ფინანსიური მდგომარეობა.—თემის ბიუჯეტის გატარება მოსპობს უკანონო გადასახადებს.—თემის ბიუჯეტის შედგენის აუცილებლობა.—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირება მომავალი წლიდან

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით, ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ ა/კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში ამხ. თედო ღლონტი, რესპუბლიკის საგადასახადო განყოფილების გამგე ჯაფარიძე, ადგილობრივი ფინანსების განყოფილების გამგე შლ. ორჯონიკიძე და სტატისტიკური განყოფილების გამგე ქიიავა, მოახდინა საქართველოს მაზრების ფინანსიური გამოკვლევა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს კომისიის თავმჯდომარემ ამხ. თედო ღლონტმა გამოკვლევის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ჩვენ გვაინტერესებდა გამოკვლევა როგორც პირდაპირი გადასახადები, ისე ფარული გადასახადების სიმძიმე და თვალყური გვედევნებია იმ კამპანიისთვის, რომელიც ახლა ტარდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გარშემო.

ჩვენი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ჩვენ უნდა შევისწავლოთ საქართველოს ყველა ტიპიური მაზრები და ავტონომიური რესპუბლიკები. ჩვენ დავათვალიერეთ ახალ-ქალაქის, სენაკის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრები, აფხაზეთის და აჭარისტანის ყველა მაზრები და გურიის ნაწილი; გამოსაკვლევი დაგვრჩა სამხრეთ-ოსეთი, დუშეთი, გორი და კახეთი.

თვითეულ მაზრაში ჩვენ ვიღებდით ტიპიურ თემს. ამასთანავე ვცდილობდით, რომ ჩვენს მიდგომას გლეხობისადმი უშუალო ხასიათი ჰქონოდა. ასეთ თემში ჩვენ ვიღებდით სამ ტიპიურ მეურნეობას: ღარიბ, საშუალო და შეძლებულ გლეხების მეურნეობებს.

ამავე დროს გვაინტერესებდა იმ მასალების მოგროვება, რომლებიც საჭიროა სათემო ბიუჯეტის შედგენისათვის. ამ მიზნით დავათვალიერეთ თემების წარმოებები, სკოლები, საავადმყოფოები და სხვა დაწესებულებები.

გადასახადები.

პროვინციაში გამგზავრება ჩვენ მოგვიხდა 4—5 თვის გავლის შემდეგ იმ დროიდან, როცა პრესაში და მთავრობის დაწესებულებებში დაისვა საკითხი, რომ მოსპობილიყო მთელი რიგი გადასახადები. ჩვენს წასვლამდე ჩატარებული კამპანიის წყალობით ბევრ ადგილას აღკვეთილი იქნა ზოგიერთი უკანონო გადასახადები. მიუხედავათ ამისა, ამ ჟამადაც არის დარჩენილი სოფლად ისეთი გადასახადები, რომელთა აღკვეთა შეადგენს ჩვენი მუშაობის საგანს.

საგადასახადო საქმეში ჩვენ შეგვიძლია ყურადღება მივაქციოთ ორ მომენტს: პირველი—გადასახადების საქმის ორგანიზაცია და მეორე—გადასახადების გაწერა და აკრეფა.

საგადასახადო პოლიტიკის პირველი მხარე შეიძლება ამოწურული იქნეს მხოლოდ 2—3 წლის დაჟინებითი მუშაობის შემდეგ.

რაც შეეხება მეორე მხარეს, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს დეტალური წარმოდგენა ყველა სახის გადასახადებზე, საგადასახადო აპარატი არ იწვევს გადამხდელთა ფართო მასის კრებებს, არ უხსნის მას გადასახადის შინაარსს და არ იყენებს გადასახადების სფეროში მთავრობის მიერ დაწესებულ შეღავათებს.

უნდა ითქვას, რომ ძალიან მძიმე ტვირთად აწევს გლეხობას ის გაუგებრობა, რომელიც თან ახლავს სალერბო გადასახადს. გურიაში, სოფელ ჩიბათში, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ალმასკომი გლეხს იმ მოწმობაში, რომლითაც დადასტურებული უნდა ყოფილიყო, რომ ძროხა ეკუთვნის ამა და ამ გლეხს, ახდევინებდა 1 მან. 55 კაპ.. ამ მოწმობაზე ალმასკომი მარკას არ აკრავდა, არც შენიშვნას უკეთებდა, რომ სალერბო გადასახადი გადახდილია და არც დავთარში ატარებდა ამ თანხას.

ერთ და იმავე მოწმობაზე სხვადასხვა მაზრებში სხვადასხვაგვარი გადასახადია დაწესებული. სხვადასხვაგვარი გადასახადია აგრეთვე შემოღებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერაზე. დაქორწინებაზე, მაგალითად, ზოგან ახდევინებენ 1 მანეთს, ზოგან 1 მან. 50 კაპ. და არის ადგილები, სადაც 2 მანეთს და მეტსაც ახდევინებენ.

არ არის ერთი მთლიანი სისტემა საგადასახადო დარგში, ეს იმ დროს, როდესაც მთელი ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა აგებულია მთლიანობის სისტემაზე.

კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბაზრო პუნქტების იჯარით გაცემას კერძო პირებზე. ამ ნიადაგზე მრავალ ბოროტ-მოქმედებას აქვს ადგილი, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში და რაც ჩვენ აღვკვეთეთ ადგილობრივად.

ამ ჟამად მრავალი კომისია მუშაობს სოფლათ უკანონო გადასახადების გამოსარკვევათ. ამ გადასახადების გავრცელებაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვის საფინანსო უწყებას. ჩვენი მაზრები და თემები ფინანსიურათ ღარიბებია. ჩვენ მათ დროზე ვერ ვაძლევთ დაპირებულ თანხებს და ისინი იძულებული არიან მიმართონ ასეთ უკანონო გადასახადებს.

ყველა მაზრებისათვის ჩვენ უნდა მიგვეცა 2.300.000 მანეთი. მიმდინარე საბიუჯეტო წელში კი მივეცით მხოლოდ 1.178.000 მან. დოტაციის ასეთი განახევრება მძიმე მდგომარეობაში აყენებს მაზრებს და ისინი საშუალებების გაჩენის მიზნით იძულებული არიან მიმართონ უკანონო მოქმედებას, რადგან ადგილობრივი შემოსავალი მეტად უმნიშვნელოა. მაგალითად, სენაკის მაზრაში, სადაც ირიცხებოდა 7 რაიონი, მთელი შემოსავალი ამ რაიონებში წარმოებებიდან უდრის 1782 მან., ე. ი. საშუალოთ თვითეულ რაიონზე მოდის 255 მანეთი.

ეს ეკონომიურ-ფინანსიური მოუწყობლობა ჩვენი მაზრებისა წარმოადგენს იმ ბაზას, რომელზედაც ვითარდება უკანონო გადასახადების სისტემა.

უკანონო გადასახადები გამოიხატება: გზის ბეგარაში, სკოლებისათვის შეშის მიწოდებაში, სკოლების რემონტში, საავადმყოფოებისათვის სათბობი მასალის მიწოდებაში, სამილიციო სამსახურში (აფხაზეთი და სხვა.

ყველა ამ გადასახადებს ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ 3-5 წელზე ადრე. უსახსრობის გამო ჩვენ იძულებული ვიქნებით დავაკანონოთ კიდეც ზოგიერთი ნატურალური გადასახადები, მაგალითად, გზების ბეგარა.

თემის ბიუჯეტი.

რომ ამ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ, საჭიროა თემის ბუჯეტის სწორათ შედგენა. ჩვენში, სამწუხაროდ, თემს ბიუჯეტს არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას. პარტიის ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ" ცარიელ ლოზუნგათ დარჩება თუ ჩვენ არ დავაჩქარეთ თემის ბიუჯეტის შედგენა.

წელს ჩვენ მხოლოდ 9 მაზრაში ვაპირებთ თემის ბიუჯეტის შედგენას. დანარჩენ მაზრებში შედგენილი იქნება შემოსავალ-გასავალის ხარჯთაღრიცხვა.

მიმდინარე საბიუჯეტო წელში სამაზრო ალმასკომებს სუბვენციის სახით მიეცემათ 2.800.000 მანეთი, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. ამასთანავე მომავალი წლიდან გლეხების მდგომარეობა შესამჩნევათ შემსუბუქებული იქნება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირების გზით.

წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით ჩვენ მოვაგროვეთ 2.900.000 მანეთი. 1925-26 წელში მიზნათ გვაქვს მოვკრიფოთ 1.900.000 მანეთი, ი. ი. ერთი მილიონით ნაკლები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ უკანონო გადასახადების აღკვეთის მხრივ ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოფლათ ბიუჯეტის კამპანიის ჩატარების შემდეგ ეს გადასახადები სავსებით მოისპობა.

შ.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

საერთაშორისო დღის ჩატარების წესი.

კოოპერაციის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული ეწყობა ყოველ წელს ივლისის პირველ შაბათს. წელს ეს დღესასწაული იქნება ივლისის 4-ს.

საქართველოში დღესასწაულის ჩატარებისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად თეკასთან მოეწყო სამეული, რომელშიაც წარმოდგენილია თეკას, ცეკავშირის საორგანიზაციო და წარმოკავშირის საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლები. ამ ცენტრალურ სამეულის მოწყობამდე მოხდა ტფილისის კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც შეიმუშავა დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

ამ წინასწარ მუშაობის შედეგად განზრახულია: 1) გამოიცეს და გაეგზავნოს კოოპერატივებს შესაფერ ადგილებზე გასაკვრელად კოოპერაციის საერთაშორისო სოლიდარობის გამომსახველი ფერადი საღებავებით შესრულებული პლაკატი. 2) ყველა როგორც ტფილისის, ისე ადგილობრივ გაზეთებმა ივნისის 25-დან უნდა აწარმოვონ თავის ფურცლებზე კოოპერატიული კამპანია. 3) გამოცემა დაეგზავნება კოოპერატივებს სპეციალური ფურცლები კოოპერაციის შესახებ. 4) საშეფო კომისიები კოოპერატიულ დღისათვის უნდა გაემგზავრონ თავის საშეფო სოფლებში თუ ჯარის ნაწილებში დღესასწაულის ჩასატარებლად. კოოპერატიულ დღესასწაულის ოფიციალურ დღედ ითვლება ქალაქებში—შაბათი 4 ივლისი, სოფლებში—კვირა 5 ივლისი, ხოლო მუსულმანებით დასახლებულ სოფლებში—პარასკევი 3 ივლისი. მაზრებში დღესასწაულის ჩასატარებლად სამაზრო პარტკომებთან უნდა შეიქნეს სამეული პარტიის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენლებისაგან.

ადგილებზე დღესასწაული ტარდება შემდეგი გეგმით: 1) უნდა მოეწყოს ყოველგვარი გასართობები—კინო, საღამოები, წარმოდგენები, მაგრამ ისე კი, რომ ამ საქმეზე გაწეულ იქნეს რაც შეიძლება მინიმალური ხარჯები. 2) კვირას 5 ივლისს, კოოპერატიული დუქნები ღია უნდა იქნეს დილიდან საღამომდე მთელი დღის განმავლობაში ვაჭრობის საწარმოებლად; 3) სასურველია მოეწყოს კოოპერატივების ან კოოპერატიულ მუშაკების საჩვენებელი გასამართლებები; 4) სასურველია კოოპერაციის დღეს კოოპერატივის წევრებს მიეცეს დივიდენდი, თუ, რასაკვირველია, კოოპერატივებს ამის საშუალება ექნებათ; 5) უნდა გაიმართოს მოხსენებები კოოპერატიულ თემებზე. 6) დარიგდეს უფასო ლიტერატურა და ფურცლები; 7) კოოპერატივების წევრთა ბავშვებს დაურიგდეს პრემიები და შესაფერი ლიტერატურა; 8) მოეწყოს კიოსკები კოოპერატივში ახალ წევრების ჩასაწერად და უკვე ჩაწერილ წევრებზე ვალად დარჩენილ საპაიო გამოსაღების შესაკრებად; 9) მორთულ იქნეს კოოპერატივების შენობები და დუქნები და ვაჭრობა მათში წარმოებულ იქნეს ფასდაკლებით; 10) კოოპერატივების სასადილოებიდან სადილები გაიცეს წევრებზე ფასდაკლებით; გაიმართოს ერთდღიური კოოპერატიული ბაზარი გლეხებზე სხვადასხვა მათთვის საჭირო საქონლის ფასდადებით [illegible] ყიდვად.

ლიტერატ[illegible] საერთაშორისო დღის შესახებ.

ცეკავშირმა მიიღო მოსკოვიდან ცენტროსოიუზისაგან დიდძალი წიგნები, პლაკატები, ფურცლები და სხვა კოოპერაციის საერთაშორისო დღისთვის.

თავის მხრივ ცეკავშირმა და წარმოკავშირმა გამოსცეს ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე პლაკატი კოოპერ. დღისთვის შესაფერი შინაარსის ადგილობრივი სიუჟეტით. შედგენილია და გამოიცემა ფურცელი კოოპერატიულ დღის შესახებ. ამის გარდა გამოიცემა ცეკავშირის ორგანო „კავშირის" სპეციალური ნომერი კოოპერატიული დღის შესახებ.

სტიპენდიების და ადგილების განაწილება მუშფაკებზე და უმაღლეს სასწავლებლებში

სტიპენდიების და ადგილების განაწილება მაზრებს შორის.

საქართველოს პროფკავშირების ცენტრ. გამგეობათა და სამაზრო პროფკავშირების პასუხისმგებელ მდივანთა თათბირმა დაამტკიცა მუშფაკებზე ადგილების განაწილების შემდეგი გეგმა.

მიმდინარე წლიდან თბილისში იქნება სულ 3 მუშფაკი: ქართული, სომხური და რუსული. ქ. თბილისიდან ქართულ მუშფაკზე მიღებული იქნება 150 მოწაფე, აქედან ქართულზე—90, სომხურზე—30 და რუსულზე—30.

დანარჩენი 160 ადგილი განაწილებულია საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებზე. ამ 150 ადგილიდან—100 სტიპენდიანი ადგილია, რომელიც სავსებით მაზრებს შორის არის განაწილებული.

[illegible] თბილისის მაზრას დათმობილი აქვს 4 სტიპენდიანი ადგილი, ქუთაისის მაზრას და ტყვიბულის რაიონს 16 ადგილი 12 სტიპენდიით, გორის მაზრას და ბორჯომის რაიონს—13 ადგილი 9 სტიპენდიით, თელავის მაზრას—8 ადგ. 5 სტიპენდიით, სიღნაღის მაზრას—8 ადგილი 5 სტიპენდიით, დუშეთის მაზრას—7 ადგილი 4 სტიპენდიით, ახალციხის მაზრას—5 ადგ. 3 სტიპ. ახალქალაქის მაზრას—4 ადგილი 2 სტიპენდიით, ჭიათურას—12 ადგილი 9 სტიპენდიით, რაჭას—7 ადგილი 5 სტიპენდიით, ლეჩხუმს—5 ადგილი 4 სტიპენდიით. სვანეთს—5 ადგილი უსტიპენდიოთ, სენაკის მაზრას—6 ადგილი უსტიპენდიოთ, ზუგდიდის მაზრას—6 ადგილი უსტიპენდიოთ, ოზურგეთის მაზრას—12 ადგილი უსტიპენდიოთ, აჭარისტანს—11 ადგილი უსტიპენდიოთ, ფოთს—8 ადგილი უსტიპენდიოთ, სოხუმს—6 ადგილი უსტიპენდიოთ, ბორჩალოს—6 ადგილი, სამხრეთ-ოსეთს 5 ადგილი უსტიპენდიოთ.

სულ მაზრებს შორის განაწილებულია 150 ადგილი. აქედან 100 უსტიპენდიოა.

ადგილების განაწილება მუშფაკებზე კავშირებს შორის.

იმავე თათბირმა კავშირებს შორის მუშფაკებზე (ქართულ-რუსულ-სომხურზე) ადგილები ასე გაანაწილა:

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირს დაეთმო 5 ადგილი, მთამადნის მუშაკთა კავშირს 2, მელითონეებს 17, მეტყავეთა კავშირს 11, ხის მუშაკთა კავშირს 8, გემოკვების კავშირს 8, სახალხო კვების 3, ქიმიკოსებს 3, მბეჭდავთა კავშირს 11, ფეიქართა კავშირს 4, მკერავთა კავშირს 5, ტრანსპორტის მუშაკთა კავშირს 14, კომ. მეურნ. კავშირს 16, განათლების მუშაკთა კავშირს—2, საბჭოთა მოსამსახურეების—11, მედსანშრომის მუშაკებს 6 ადგილი ხელოვნების მუშაკებს—3, და სახალხო შეერთების მუშაკებს—6.

ადგილების განაწილება სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტში მაზრებს შორის.

სახ. განათლების შორის და იმავე თათბირის დადგენილებით თბილისა და მის მაზრის უნივერსიტეტში ეთმობა 100 ადგილი. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 80 ადგილი.

	უნივერსიტ.	პოლიტ ინსტ.
გორი მაზრა	40 ად.	3 ად.
დუშეთის მაზრა	10 „	3 ად.
ბორჩალოს „	10 „	2 „
ახალციხის „	5 „	5 „
ახალქალაქის „	5 „	5 „
თელავის „	30 „	5 „
სიღნაღის „	30 „	5 „
ქუთაისს „	50 „	10 „
შორაპნის „	40 „	—
რაჭის „	15 „	—
ლეჩხუმს „	10 „	—
ოზურგეთის „	40 „	—
ზუგდიდის „	20 „	—
სენაკის „	30 „	—
ფოთის „	15 „	5 „
აჭარისტანს	15 „	10 „
აფხაზეთს	5 „	10 „
სამხრეთ-ოსეთს	5 „	10 „

მომავალ სამოსწავლო წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულ იქნება სულ 475 სტუდენტი, ხოლო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—150.

ადგილების განაწილება სოციალურ ჯგუფებს შორის

სხვადასხვა დაწესებულებებს და სოციალურ ჯგუფებს შორის სახ. განათლების კომისარიატის დადგენილების თანახმად ადგილი შემდეგი შეფარდებით განაწილდება.

ს. კ. პ. ეთმობა უმაღლეს სასწავლებლებში მთელი ადგილების 15 პროცენტი. საქართველოს პროფესიონალურ საბჭოს—30 პროცენტი, ახკომკავშირს—15 პროცენტი, მშრომელ გლეხობას—10 პროცენტი, შრომის ინვალიდებს და წითელარმიას—5 პროცენტი, არა მშრომელ ელემენტებს—20 პროცენტი.

საბჭოთა ქვედა აპარატის გაჯანსაღება

აფხაზეთის მაზრების გამოკვლევის შედეგები

(საქართვ. ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თათბირის მასალებიდან)

საბჭოთა ქვედა აპარატის სისტემის თავისებურათ განხორციელება.—„უხუცესთა საბჭო"—ურთიერთობა სოფლის საბჭოსა და სასოფლო კრების შორის.—სოფლის საბჭოს როლის შემცირება.—გლეხების ფართო მონაწილეობა სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.—აფხაზეთის სოფლების კულტურული დონე.—ქოხ-სამკითხველოების სუსტი მუშაობა.—

საქართველოს ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თათბირის მიერ აფხაზეთში გაგზავნილი იყო ამხ. ჯანაშია, რომელმაც გამოიკვლია აფხაზეთის სამი ტიპიური თემი: ჯგერდა, (კოდორის მაზრაში), ნიკოლაევო-ანასტასიევი (გუმისტანის მაზრა) და ლიხნი (გუდაუთის მაზრა).

სოფელ ჯგერდაში, რომელიც მდებარეობს კოდორის მაზრაში, ითვლება 366 კომლი და ის, უმთავრესად დასახლებულია აფხაზებით. თემის კულტურული დონე არ არის დიდი, თუმცა თემში არის პირველი საფეხურის სამი სკოლა რომლებიც ერთი მეორეზე დაშორებულია 7—10 ვერსტით. ეს აიხსნება მოსახლეობის დაქსაქსულობით (თემის დიამეტრი უდრის 10—15 ვერსს). ყველა სკოლებში სწავლობს ორასამდე ბავშვი.

თემში არის ერთი ქოხ-სამკითხველო, რომელიც ღიაა თვეში 4—5 ჯერ. დანარჩენ დღეებში სამკითხველო დახურულია; ის საერთოდ სუსტად მუშაობს. არ არის საინტერესო ბროშიურები, არ არის გაზეთების საკმაო რაოდენობა, არ არის ამხანაგების კულტურული წრე, რომელსაც შეეძლოს ქოხ-სამკითხველოს მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება. წერა-კითხვის მცოდნე მოსახლეობის სწორი პროცენტის გამორკვევა მეტად ძნელია, რადგან სოფლის საბჭოში არ არის სათანადო ცნობები. დაახლოვებით წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი თემში უდრის 10 პროც.

სწორი ცნობების მიღება მიწებით უზრუნველყოფის შესახებ მეტად ძნელია, რადგან სოფლის საბჭოს არ მოეპოვება არავითარი ცნობები.

გლეხების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ საშუალოდ თვითეულ კომლზე მოდის 4—5 დესეტინა გამოსადეგი მიწა. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია—სიმინდი, რომლის ნაწილი გამოაქვთ ბაზარზე. მიწებს გლეხები პრიმიტიულად ამუშავებენ, რადგან არ აქვთ მთიანი ადგილებისათვის შესაფერი გუთანი. მოსახლეობა მისდევს აგრეთვე მეთამბაქოებას, მესაქონლეობას, მეღვინეობას და მებამბეობას.

რაც შეეხება სოფლის საბჭოს მუშაობას, უნდა ითქვას, რომ საბჭოთა თვითმართველობის სისტემამ ამ თემში თავისებური ფორმა მიიღო, რომელიც ეყრდნობა ადგილობრივ მცხოვრებლების ძველ ადათებს. ამ ადათებმა რევოლიუციის წინა ხანებში შექმნა ინსტიტუტი „საპატიო მოხუცებისა", რომლებიც სოფლის მამასახლისთან ერთად სწყვეტდნენ სოფლის ყველა საკითხებს და თავის გადაწყვეტილებას განსახილველად უდგენდნენ სოფლის კრებას.

ამ სისტემის ნაშთი დარჩენილია დღესაც და გამოიხატება იმაში, რომ სოფლის საბჭოს პლენუმი იკრიბება მხოლოდ იმ დღეებში, როდესაც იკრიბება სათემო კრება; ეს უკანასკნელი თავის წრიდან ირჩევს რამოდენიმე კაცს, რომელთა რიცხვი უნდა უდრიდეს სოფლის საბჭოს შეკრებილ წევრთა რიცხვს, და ეს არჩეული პირები ესწრებიან სოფლის საბჭოს სხდომას.

ამ თათბირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იხილავს სათემო კრება, რომელიც პასიურად ელის (საბჭოს სხდომის ადგილებიდან რამოდენიმე მანძილის მოშორებით) თათბირის გათავებას; კრებას შეუძლია დაამტკიცოს ანდა არ დაამტკიცოს მიღებული გადაწყვეტილება; უკანასკნელ შემთხვევაში მიღებული დადგენილება გადადებული იქნება შემდეგ კრებამდი, რომელზედაც გადადებული საკითხი განხილული იქნება ხელახლა იმავე წესით.

ოქმებს სწერენ კრების განაჩენის სახით და მათ ხელს აწერს კრების თავმჯდომარე, ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი და კომპარტიის ერთად-ერთი წევრი. სოფლის საბჭო კი ამოწმებს ოქმებს საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით.

სოფლის საბჭოს და კრების მიერ განსახილველ სამეურნეო ხასიათის საკითხების უმრავლესობა ეხება, უმთავრესად, საზაფხულო საძოვრებს და მეთამბაქოებას. დანარჩენი საკითხები კი ეხება ქონებრივ დავას გლეხებს შორის და საერთოდ სხვადასხვა სამოქალაქო ურთიერთობის მოწესრიგებას.

ჯგერდის თემში ითვლება 1885 კაცი. თუ სასოფლო კრებას სოფლის საბჭოს წევრებთან ერდად შეიძლება ვუწოდოთ სოფლის საბჭოს პლენუმი, მაშინ გლეხები მრავლად ესწრებიან სხდომებს.

ჩვეულებრივ ასეთ კრებებს ესწრება 100-ზე მეტი გლეხი.

თემის მოსახლეობის უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სოფლის საბჭოს მიერ გადასაწყვეტ ყველა საქმეების გარჩევაში და საგრძნობი არ არის განკერძოება სოფლის კრებასა და სოფლის საბჭოს შორის. მაგრამ ამ მდგომარეობას აქვს თავისი უარყოფითი მხარეც. როლი სოფლის საბჭოს პლენუმისა, რომელიც სხდომას არ გამართავს, თუ არ შეიკრიბა კრება იმდენად შემცირდა, რომ სოფლის საბჭოს წევრის მნიშვნელობა თითქმის აღარ განირჩევა ჯგერეთის თემის უბრალო გლეხის მნიშვნელობიდან თემში არის გლეხების ფართო თვითმართველობა კრებების სახით, მაგრამ ამასთან ერთად არ არის სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელი, ჯანსაღი და ავტორიტეტული სოფლის საბჭო.

სოფლის საბჭოს უშუალო მუშაობის სფეროში საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: მთელი მოსახლეობის აქტიურმა მონაწილეობამ სოფლის ცხოვრების ხელმძღვანელობაში, რომელსაც უეჭველად აქვს დადებითი მხარე, თითქმის სულ ჩაკლა [illegible] სოფლის საბჭოს მუშაობა. [illegible] ადათი ყოველთვის არჩეული იქნეს სოფლის კრების წევრთა რიცხვიდან გლეხები სოფლის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად ეწინააღმდეგება საბჭოთა აღმშენებლობის ძირითად პრინციპებს.

ნიკოლაევო-ანასტასიევის თემში მოსახლეობის აქტივობა არ არის დიდი. მოსახლეობა არ არის დაინტერესებული საზოგადო საქმეებით და სოფლის საბჭოს მუშაობით.

სოფლის საბჭოს სხდომებს გლეხები ძალიან მცირე რაოდენობით ესწრებიან. მიღებული არ არის ზომები გლეხთა მასის ჩასაბმელად საბჭოთა მუშაობაში.

უკეთესი მდგომარეობაა ლიხნის თემში, რომელიც აერთიანებს 4.400 კაცს. საბჭოების გადარჩევამდე გლეხები არ ესწრებოდენ სოფლის საბჭოს სხდომებს, რადგან ისინი დახურული იყო; ამჟამად სხდომები ღიაა და ყველას შეუძლია დასწრება. გლეხები ეხლა უფრო მეტ ინტერესს იჩენენ სხდომებისადმი.

თემის კულტურული დონე უეჭველად დიდია აფხაზეთის სხვა თემებთან შედარებით. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენს 29,6 პროცენტს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ქვედა აპარატის სისტემა, რომელიც გატარებულია საქართველოს ყველა მაზრებში, აფხაზეთში ვერ არის მთლიანად ჩამოყალიბებული, რასაც სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს თათბირმა.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

მეოთხე სხდომა

სოციალური დაზღვევის შესახებ

(მომხსენებელი ამხ. გოგიბერიძე)

მომხსენებელი პლენუმს აცნობს უკანასკნელად წარმოებულ მუშაობის შედეგებს და აგრეთვე მოკლე მიმოხილვას უკეთებს სოციალური დაზღვევის საქმეს საქართველოში. დამზღვევი ორგანოების ენერგიული ღონისძიებით სოციალური დაზღვევა ამჟამად მშრომელი მოსახლეობის უფრო მეტ რიცხვზე ვრცელდება, ვიდრე იყო წინად, მაგ., 1924 წელს საქართველოში ყოფილა 70.622 დაზღვეული, ხოლო 1925 წლის 1 იანვრისათვის კი 75.455 დაზღვეული (რკინის-გზელთა გამოკლებით). ე. ი. დაზღვეულთა რიცხვს 9,7 პროცენტით უმატია.

სულ დაზღვეის მშრომელ მასებთან დაახლოვების მიზნით მოწყობილ იქნა პუნქტები და დაარსდა რწმუნებულთა თანამდებობანი.

გაფართოვდა აგრეთვე დაზღვეულთა წრე დაზღვევის ზოგიერთი სახეების მიხედვით, დაზღვევის ორგანოების მიერ ანარიცხების ინტენსიური აკრეფის გამო მიმდინარე წელს საგრძნობლად შემცირდა აგრეთვე დავალიანება, რომელმაც 4—5 პროცენტით იკლო. მთელ საანგარიშო პერიოდში დამზღვევი კასა თავის დანიშნულებებს რიგიანად ასრულებდა: შრომის დროებით უნარ დაკარგულებს ეძლეოდათ დახმარება განსაზღვრულ ნორმით უკლებლად. მოემატა დახმარების ნორმა უმუშევრებს, ინვალიდებს და მათი ოჯახების წევრებს.

ამასთანავე დიდი ყურადღება ექცეოდა პროფილაქტიკურ ზომებს, რისთვისაც 1924 წელს დაიხარჯა—245.630 მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს პლენუმს სოციალურ დაზღვევის ორგანოების სამუშაო პროგრამას საორგანიზაციო, საფინანსო, დახმარებით უზრუნველყოფის და სამკურნალო დახმარების დარგებში.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

უმუშევრობა და მასთან ბრძოლა

მომხსენებელი ამხ. კილოსანიძე

თავის მოხსენების შესავალში ამხ. კილოსანიძე საკმაოდ ვრცელ მიმოხილვას უკეთებს უმუშევრობის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში არკვევს ამ უმუშევრობის მიზეზებს და შემდეგ ადარებს საბჭოთა კავშირში არსებულ უმუშევრობას ინგლისის უმუშევრობას. შემდეგ გადადის საქართველოს უმუშევრობაზე.

ა. წ. პირველი აპრილისათვის უმუშევართა რიცხვი საქართველოში უდრიდა 12 ათასს. აქედან უმუშევარი სამრეწველო შრომიდან იყო 25 პროც., დამხმარე, შრომიდან—12 პროც., ტრანსპორტიდან და სახალხ. შეერთებიდან—6,3 პროც., შავი მუშები—20,2 პროც. გონებრივი შრომიდან—36,2 პროც. უმუშევრობაში ქართველებს უკავიათ 27 პროცენტი, სომხებს 40 პროც., რუსებს 29 პროც. დანარჩენებს—9 პროც.

უკანასკნელ ჯგუფიდან უმრავლესობას სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული უმუშევრები შეადგენენ.

[illegible] ყველაზე უფრო მეტად სამრეწველო უმუშევარ ჯგუფს თხოულობს. ამიტომ საჭირო ხდება კვალიფიციურ მუშაკების ახალი კადრების მომზადება.

შემდეგ მომხსენებელი ჩამოსთვლის იმ ღონისძიებებს, რომელიც საჭირო[illegible] საგრძნობლივ უმუშევრობის შესა[illegible]

გლეხთა შორის არსებულ უმუშევრობის მოსასპობად საჭიროა შინამრეწველობის, ხელოსნობის და საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა-განვითარება. უნდა მოეწყოს სოფლად სასოფლო-სამეურნეო კომუნები და არტელები. აქ თაოსნობის გამოჩენა მართებს სოც. უზრ. კომის. და მიწად მოქმ. სახ კომ.-ს.

უმუშევრობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე შრომითი დახმარება.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ამ ჟამად მოწყობილია უმუშევართა 48 კოლექტივი, რომელსაც მთავრობამ 70 ათასი მანეთი დახმარება აღმოუჩინა.

ამ ზაფხულზე მოეწყო და კიდევ მოეწყობა სხვადასხვა სამუშაოები ფიზიკურ მომუშავეებისათვის. საზოგადო სამუშაოები ეწყობოდა აგრეთვე სპეციალურად გონებრივი შრომის ხალხისთვის.

შემდეგ მომხსენებელი პლენუმს აცნობს, თუ რა უნდა გააკეთონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა და პროფორგანოებმა უმუშევრობის შესანელებლად და სავსებით მოსასპობად.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც პლენუმი იწონებს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოყენებულ დებულებებს უმუშევრობის და მასთან ბრძოლის შესახებ.

უკანასკნელი სხდომა

პროფკავშირების მუშაობა სოფლად

(მომხსენ. ამხ. გ. ყურულაშვილი)

პროფკავშირების 120 ათას წევრიდან პროვინციებში იმყოფება 54 ათასი.

ამ რიცხვიდან პროვინციალურ ქალაქებზე თუ 25 ათასს ვიანგარიშებთ, სოფლად გაფანტულ კავშირის წევრთა რიცხვი 30 ათასი უნდა ვივარაუდოთ. ამ რიცხვს რომ მიუმატოთ სოფლის დაქირავებული მუშები—მოჯამაგირეები, მივიღებთ დაქირავებულ შრომის საკმაო გაზდილ ძალას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალური მოძრაობისთვის. მუშაობას კავშირის სოფლად მყოფ წევრთა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ამ გზით შესაძლებელი ხდება გლეხობის ფართო ფენების კულტურული და სხვა ხასიათის აღმშენებლობაში ჩაბმა.

მაგრამ სოფლად წარმოებული მუშაობის წარმატებისა და ნაყოფიერებისათვის საჭიროა შეიცვალოს პროფესიონალური მუშაობის ფორმები. საჭიროა მოხდეს ცალკე კავშირების განცალკევებულ მოქმედებათა გაერთიანება. მიწა-ტყის კავშირმა, რომელსაც სოფლად ჰყავს წევრების უფრო მეტი რიცხვი, უნდა იკისროს თავის ფარგლებში ისეთი დარგის მუშაკთა გაერთიანება, რომელთაც ახლო კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან.

სადაც ყველა კავშირების წევრთა რიცხვი 100-ზე ნაკლები არ არის, უნდა მოეწყოს სამდივნოები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ცალკე კავშირების პატარა უჯრედებს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სატარიფო მუშაობას სოფლად, მოჯამაგირეთა ხელფასს, მათი შრომის პირობებს, სოციალურ დაზღვევას და ამბობს, რომ ამ საკითხების გადაწყვეტის დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე და სოფლისთვის შესაფერისი საზომით მიდგომა.

რაც შეეხება კულტურულ მუშაობას სოფლად, აქაც საჭიროა კავშირების არა განცალკევებული მოქმედება, არამედ ძალების გაერთიანება და შეთანხმებული მოქმედება კულტურულ განმანათლებელი საქმიანობის ყოველ დარგში.

მოხსენების მიხედვით წაკითხულ ქნა დებულებები, სოფლად მუშაობის შესახებ, დებულებები პლენუმმა მიიღო, რის შემდეგ პლენუმის უკანასკნელი სხდომა დაიხურა.

როგორი ჩერვონეცების მიღება არ არის სავალდებულო

უკანასკნელ დროს ბაზარზე და მაღაზიებში დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი გახეულ, გაჭუჭყიანებულ და დაწესებულ ჩერვონცების მიღების გარშემო. განსაკუთრებით ბევრია გავრცელილი 1 და 3 ჩერვონეციანები.

სახელმწიფო ბანკის გამგეობამ დააწესა უვარგის ჩერვონცების ნიშნები.

არ მიიღება ხმარებაში ისეთი ჩერვონეცები, რომლებიც არ შეადგენენ მთელი ბილეთის სამ მეოთხედს. დაზიანებულ ჩერვონეცს უნდა ჰქონდეს უკიდურეს შემთხვევაში ორი ნომრიდან ერთი მაინც, აგრეთვე ერთი-ორი სერიიდან და სახელმწიფო ბანკის წევრების სამი ხელისმოწერა.

ამას გარდა არ მიიღება ჩერვონეცი, რომელსაც აკლია მარჯვენიდან ზევით ერთი მეოთხედი, ე. ი. ის ადგილი სადაც ჩერვონეცის ღირებულება აღნიშნულია ციფრით და ასოებით.

თუ დარჩენილია ეს ადგილი და ჩერვონეცის ღირებულების წარწერა ასოებით, ჩერვონეცის ზედა მარჯვენა მეოთხედის დაზიანებას მნიშვნელობა არ აქვს. საჭიროა აგრეთვე, რომ დაზიანებულ ჩერვონეცზე იყოს ფერადი „როზეტკის" ნახევარი, რომელიც მოთავსებულია ბილეთის მარცხენა ნაწილზე.

საერთოდ არ მიიღება ხმარებაში და გადასაცვლელად ისეთი დახეული კუპიურები, რომელთა ცალკე ნაწილების ერთი ბილეთისათვის მიკუთვნება შეუძლებელია.

ყველა დაზიანებული, გახეული, გაჭუჭყიანებული, დაწეპილი ჩერვონეცები, რომლებიც აკმაყოფილებენ გადაცვლის მოთხოვნილებებს, უნდა იქნენ მიღებული ხმარებაში. სახელმწიფო ბანკის და ფინსახკომის კასებში შემოსვლის შემდეგ, ასეთი დაზიანებული კუპიურები აღარ იქნება გამოშვებული ხმარებაში და მათ ნაცვლად გაცემული იქნება ახალი კუპიურები.

ქრონიკა

წრომის ისტორიული მნიშვნელობის ტაძარის დაცვა

მიღებული ცნობებით წრომის (გორის მაზრაში) ტაძარს, რომელიც აგებული მე-8 საუკუნეში და რომელშიაც დაცულია მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრობანი და მოზაიკა, საფრთხე მოელის, დღე-დღეზე მოსალოდნელია გუმბათის ჩამოქცევა. მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევათ სასწრაფოდ მივლინებული იქნა სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების ინსპექტორი.

— **იურიდიულ საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 8 საათზე საზოგადოების წევრი ამხ. შალიბაშვილი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „დანაშაულის ცდა".

— **მეფის დროის ოქროს ფულის** შესყიდვა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებმა შესწყვიტეს.

— **სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების** ძეგლთა დაცვის განყოფილებასთან განათლების კომისარიატის დადგენილებით დაარსდა ინსპექტორის თანამდებობა.

— **შმოს ბიურო.** საკანცელიარიო და საორგანიზაციო მუშაობის განსამტკიცებლად, შრომის სახ. კომისარიატთან დაარსდა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის (შმო) ბიურო.

— **შრომის კოლექტივების მუშაობა.** შრომის სახ. კომისარიატმა შრომის კოლექტივების ბიუროს დაავალა წარმოადგინოს ანგარიში შრომის კოლექტივების ნივთიერ და საერთო მდგომარეობის შესახებ.

— **საბინაო აღმშენებლობა.** მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ქუთაისში საქსოვ ქარხნის მუშებისა და რკინისგზელებისთვის წელს შეუდგეს ბინების აგებას.

— **ქალები პროფკავშირებში.** უკანასკნელ ცნობების მიხედვით ამ ჟამად საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებულ ქალთა რიცხვი 20 ათასამდე აღწევს.

— **შრომის კოლექტივები.** ამჟამად საქართველოში ირიცხება 48 შრომის კოლექტივი, სადაც მუშაობს ათასზე მეტი უმუშევარი ცვალებადი შემადგენლობით.

— **ტირიფონის ველის** არხით მორწყული იქნება 30 ათასი დესეტინა მიწა, რომელზედაც უმთავრესად დაითესება კარტოფილი და შაქრის ჭარხალი.

— **იჯარა.** თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გააგრძელოს ქალაქის ბაღ-ბოსტნების იჯარით გაცემის ვადა და იჯარით გაცემის დროს უპირატესობა მიანიჭოს [illegible]მეებს.

ხელოვნება

— **განათლების მუშაკთა კლუბში** დღეს წარმოდგენაა ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქნება 2 მოქმედებიანი დრამა „პირველი ზარი".

— **წითელი არმიის და ფლოტის ბალი.** ხუთშაბათს თეატრში—„ეშმაკის მოციქული", ბერნარდ შოუს კომედია 4 მოქმედებათ.

— **„მუსიკალური კომედიის თეატრი"** დღეს, 25 ივნისს პოპულიარული ოპერეტა „პოლონური სისხლი"- სცენის ტეხნიკურად მოწყობის დამთავრების გამო წარმოდგენები იწყება 9 მეოთხ. საათზე და თავდება 12 ნახ. საათზე.

— **ვერის მუშათა კლუბში** 20 ივნისს გაიმართება ქართული სახალხო კონცერტი თბილისის საქონლის სადგურის მუშათა გუნდის მონაწილეობით და მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით. დაბოლოს აზიური ცეკვა ს. გოცირიძის მეთაურობით.

— **საღამო - წარმოდგენა.** შაბათს, 27 ივნისს ზ. ქიქოძის სახელობის საქარხნო საფაბრიკო ქალთა სკოლაში, ამავე სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო-წარმოდგენა მოწაფეებისავე მონაწილეობით.

დღეს კინოებში

— აპოლო —„აფრიკის ასული".

— პალას—„ბაღდადელი ქურდი".

— სოლეი—„ანა პოლლი".

— არფასტო—„მისი მოწოდება".

— მინიონ—„ღამის ამოცანა".

— ეთერი —„ჯარისკაცის საცოლე".

— რუსთაველი—„იყუჩე მწუხარებავ, იყუჩე".

საბჭოთა სასამართლო

ერგემლიძის საქმე

24 ივნისს სასამართლოს სხდომაზე დაიწყო მოწმეების დაკითხვა. პირველად დაკითხულ იქნა მოკლულ ზაალიშვილის მამა—ნიკოლოზ ზაალიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი შვილის მოკვლის შესახებ მას მეორე დღეს უთხრეს, რომ ის მოჰკლა ნ. ლოლუამო.

ნ. ზაალიშვილის დაკითხვის შემდეგ სასამართლომ დაკითხა მთავარ მოწმეს ნ. ლოლუას, რომელსაც ბრალდებული ი. ერგემლიძე ზაალიშვილის მკვლელად სთვლის. ნ. ლოლუამ დაწვრილებით მოუთხრო სასამართლოს, თუ როგორ მოხდა ჩხუბი მასსა და ერგემლიძეს შორის. ის აცხადებს, რომ როცა მან გაიწია ერგემლიძისაკენ სილის გასარტყამად, უკანასკნელმა ისმიწაზე დასცა. მან მოინდომა რევოლვერის ამოღება, მაგრამ რევოლვერი მას წაართვა ერგემლიძემ, რომელიც გადავიდა ქუჩის მეორე მხარეზე—„ცოტა ხნის შემდეგ,—ამბობს ლოლუა—მე გავიგონე რევოლვერის ერთხელ გასროლა, მას მოჰყვა კიდევ სამი. ამის შემდეგ ერგემლიძე ჩემსკენ გამოექანა და ცარიელი რევოლვერი თავზე დამარტყა".

ნ. ლოლუას დაკითხვის შემდეგ სასამართლომ დაკითხა ნატალია ლოლუას (ნესტორ ლოლუას მეუღლეს) და მოკლულ ზაალიშვილის ძმას შ. ზაალიშვილს. სასამართლო შეკითხვებით არკვევს ზოგიერთ სხვაობას ცოლ-ქმრის ჩვენებებს შორის მაგალითად, ნატალია ლოლუა არღვევს მისი ქმრის ჩვენების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ერგემლიძემ ლოლუას რევოლვერი თავში დაარტყა. ცოლი აჩვენებს, რომ რევოლვერი ერგემლიძეს წაართვა მოქ. გელოვანმა.

მოწმე ზაალიშვილი ნაწილიბრივ უარყოფს იმ ჩვენებას, რომელიც მან მისცა გამომძიებელს წინასწარ გამოძიების დროს. ზაალიშვილის დაკითხვის შემდეგ სასამართლომ საჭიროდ სცნო ხუთამდე დამატებითი მოწმის გამოწვევა, რის შემდეგ მორიგი სხდომა დაინიშნა იმავე დღის საღამოს 7 საათისთვის.

შემთხვევები

აფეთქება არსენალში

აფეთქებისაგან დაშავდა 5 კაცი. ყველა დაშავებული მუშები მოთავსებული არიან საავადმყოფოში.

გუშინ, დღის 3 საათზე, მექანიკურ საარტილერიო ქარხნის (ყოფ. არსენალი) ერთ-ერთ განყოფილებაში მუშაობის დროს ადვილათ ასაცეთქებელ მასალასთან არაფრთხილი მოპყრობის გამო მოხდა აფეთქება.

აფეთქება იმდენათ ძლიერი იყო, რომ რამდენიმე მუშას, რომლებიც იქვე ახლო მუშაობდენ, მოედო ცეცხლი, რომლისგან მათ დაეწვათ სახე და სხეული.

დაშავებული მუშები მიიყვანეს მიხეილის საავათმყოფოში, სადაც მათ დაუყონებლივ საექიმო დახმარება გაუწიეს; იქვე გამოირკვა დაშავებულთა ვინაობა:

კუდრიავცევი დიმიტრი, გონჩარენკო პანტელეიმონ, ავლოხაშვილი მიხეილ, ტანაიანცი ლევან და ბაბაიანცი მარამ. უკანასკნელის გარდა ყველა დანარჩენები საკმაოთ სერიოზულათ არიან დაშავებული.

მსუბუქათ დაშავდა კიდევ ერთი მუშა, რომელსაც საავათმყოფოში შეუხვიეს დაშავებული ფეხები.

აფეთქების მიზეზების გამოსარკვევათ გამოყოფილია სპეციალური კომისია.

მუშათა ცხოვრება

სკოლის შენობა თავზე გვენგრევა.

(თბ. ალმასკომის საყურადღებოდ).

ს. შინდისის (ტფ. მაზ.) შრომის სკოლა მოთავსებულია ყოფილი თავადის გურგენბეგოვის შენობაში. ეს საუცხოვო შენობა, ევროპიულ ყაიდაზე აგებული დღეს ინგრევა: ზევიდან წვიმა ჩამოდის; ერთი კედელი გადაწეულია 2 ნახ. ვერშოკზე და საკმარისია კიდევ ერთი თვე დარჩეს ასე, რომ სულ დაინგრეს. ადგილობრივ მცხოვრებლები განიცდიან დიდ ეკონომიურ გაჭირვებას, რადგან მოსავალი ხუთი წელიწადია სრულიად არ ყოფილა. ამ მიზეზის გამო სკოლის შენობას ყურადღებას ვერ აქცევენ. ამას საჭიროა ანგარიში გაუწიოს სამაზრო ალმასკომმა და დაჩქარებით გაიღოს საჭირო თანხა ამ სკოლის შესაკეთებლად.

მასწავლებელი ე. მ.

გაპარტახებული სადგური.

(ქსნის სადგ. უფროსის საყურადღებოთ).

ქსნის სადგურის დარბაზი წარმოადგენს უყურადღებოდ მიტოვებულ ოთახს, სადაც კარების და ფანჯრების შუშები ჩამტვრეულია, ფეჩის კარები გამოგლეჯილი; სუფევს საშინელი უსუფთაობა და ღამე პატარა ლამფას ძლივს აბჟუტებენ.

საჭიროა სადგურის უფროსმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს და მგზავრი უკეთეს მდგომარეობაში ჩააყენოს.

მუშა მგზავრი.

მუშური მადლობა ასეთ მუშაკს.

პირველი რაიონის საქონლის სადგურის 3 კომუჯრედთან არსებულ პარტსკოლის მეცადინეობა სასურველად დამთავრდა. 30 მსმენელმა მუშამ განვლილი საგნები საკმაოდ შეითვისა. ისინი ყოველმხრივ უზრუნველყოფილნი იყვნენ და მით უფრო მეტი ენერგიით ეწეოდნენ მეცადინეობას. მუშების სახელით ვუძღვნი მადლობას ამხ. კოლა მახარაძეს, რომელიც თავის ენერგიას ჩვენთვის არ იშურებდა.

ამხანაგების მონდობილობით
მუშა გ. დანდუროვი.

მოვაშორეთ ეს ავარები.

(მილიციის საყურადღებოდ).

„შრომის ბირჟის“ სამკითხველოში თავს იყრიან ქუჩის ავარები, რომელნიც საზიზღარი ქცევით და ლანძღვა-გინებით ხელს უშლიან მკითხველებს.

საჭიროა მათი აქედან განდევნა.

ახკორი შკოლისპირელი.

ალაგმეთ ქუჩაში მოვაჭრენი

(მილიციის საყურადღებოდ)

მექევოის ქუჩაზე დათარეშობენ ფეხზე მოვაჭრენი ვასო მარტიროზოვი და ბესო შოთაშვილი, რომელთაც ჯიბეში არაყი დააქვთ და გამვლელ-გამომვლელ მუშებს ძალათი ასმევენ და ტყავს აძრობენ. მოაშორეთ ეს ვაჟბატონები ამ ქუჩას.

ინფ. ოფოფი.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **კლუბის აგება.** უკვე დაიწყო სად. ნავთლუღში რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა კლუბის აგება. აღნიშნული საქმისათვის გადადებულია 2.000 მანეთი. კლუბი აიგება ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობაზე.

— **თათბირი.** 22 ივნისს ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირი იწვევს საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლების საგზაო თათბირს.

— **ადგილკომების გადარჩევა.** 1-ლ ივლისისათვის ა.-კ. რკ. გზაზე დამთავრდება ადგილკომების გადარჩევა.

— **მთ. სახელოსნოების შეკეთება.** 15 ივნისიდან დაიწყო მთავარ სახელოსნოების კაპიტალური შეკეთება. შეკეთება დასრულდება 1-ლ ივლისათვის.

-- **საწარმოო კომისიის გადარჩევა.** დეპოს მუშათა საერთო კრებაზე 16 ივნისს მოხდა საწარმოო კომისიის გადარჩევა. კომისიაში არჩეულია 19 კაცი.

— **გეგმა მასსიური მუშაობისათვის.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საორგანიზაციო განყოფილება ამუშავებს გეგმას, რომელიც დაეგზავნება საუბნო პროფკავშირებს.

— **რადიომოყვარულთა ახალი წრე.** სად. ნავთლუღის ადგილკომმა დაარსა რადიო-მოყვარულთა წრე, რომელშიც ირიცხება 50-მდე კაცი.

— **ჭლექის სამდღიური** ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველო 26, 27 და 28 ივნისს აწყობს ჭლექის სამდღიურს.

ა—ძე.

პროვინციაში

ვარდისუბანში მოიწამლა ასი გლეხი

(დეპეშით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ვარდისუბანში ცოფიან ძროხის ხორცით მოიწამლა ასზე მეტი გლეხი. ერთი ბავშვი გაცოფიანდა. ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე აცრის ადგილობრივ მოგვარების ან მოწამლულთა თბილისში გადაგზავნის შესახებ.

კაატაშვილი.

ახალსენაკი—მუხურის გზა

ჩვენი კუთხე არის სამეგრელოს ის ნაწილი, რომელიც ერთნაირად არის დაშორებული სამაზრო ცენტრებს: ზუგდიდს და ახალ-სენაკს. კუთხე თავის მეურნეობის, სწავლა-განათლების თუ სხვა მხრით არ შეიძლება ჩაითვალოს მაინც და მაინც ჩამორჩენილად, მაგრამ ის მოწყვეტილია ყველაფერს, მოკლებულია მთავარი მამოძრავებელ ეკონომიურ ძარღვს, მიმოსვლის საშუალებას—გზას, რომ მჭიდრო კავშირი იქონიოს ქალაქთან. როგორც ზევითა ვსთქვით, ქ. ახალ-სენაკი და ზუგდიდი დაშორებულნი არიან დაახლოებით 45—50 ვერ. არის მხოლოდ ერთი გზა, რომელიც ამ მხარეს აერთებს ქ. ახალ-სენაკთან. ამ ხაზზე მდებარეობენ შემდეგი სოფლები (თემები) სენაკის და ზუგდიდის მაზრისა: ნაწილი წალენჯიხისა, ჯგალი, მუხური, ხაბუმე ქოლა, ნაფიჩხუ, ჩხოროწყუ, ლეწურწუმე, ახუთი, ლესიჭინე, ზანა და მრავალი სხვა ახლო მდებარე თემები. თვითეულ თემში 600—1000-მდე კომლია, რომელნიც ეკონომიურად მჭიდრო დამოკიდებულებაში არიან ქ. ახალ-სენაკის ბაზართან. მუხურის თემში მდ. ხობის წყალზე გაშენებულია რკინა-ტინობის ხიდი, რომლის მზგავსი მთელ სამეგრელოში არ გვეგულება. ხიდი აშენებულია ადგილობრივი გლეხობის მიერ, მაზრალმასკომის და ცენტრიდან ამხ. ბ. ბერიას დახმარებით. მუხური არის პატარა კურორტი, რომელიც იზიდავს ირავალ ავადმყოფთ საზაფხულოდ; აქ არსდება მეფუტკრეთა და მეჯოგეთა საზოგადოებები. ახლო მდებარეობს ცნობილი სატყეო აგარაკი--ლუგელა, რომელიც მდიდარია მავარი და წიწვიან ხეებით. ყველა მეჯოგეები ზემო სამეგრელოდან სარგებლობენ ამ გზით, მხოლოდ მოგზაურობა წყალდიდობის დროს დიდ საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ადამიანისათვის, ისე საქონლისათვის მდ. ოჩხომური და ზანა-წყლის უხიდობის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ მოთხოვნილების საგნებს, რომელთაც გლეხობა იძენს კოოპერატივიდან, მზგავლითად მარილი უგზოობისა გამო ორმაგ ფასად უჯდებათ მათ. გლეხობა იძულებულია თავის ნაწარმოებიც ამ გზით გაატარონ სენაკის ბაზარზე და მათ ხშირად უხდებათ წყალდიდობის დროს სტიქიის მძვინვარე ტალღებთან ბრძოლა. ბევრი უბედური შემთხვევებიც ყოფილა. ყველგან გვაქვს სკოლები, სამკითხველოები, ფოსტა და სხვა დაწესებულებები, სადაც მოდის გაზეთები და კორესპონდენციები მხოლოდ დაგვიანებით იყო მოსაზრება, რომ მოეწყოთ ფოსტის მიმოსვლა სენაკიდან პირდაპირ ამ გზით, მაგრამ ეს საკითხი ისევ ღიად დარჩა გზის ასეთ მდგომარეობის გამო.

როგორც ზევით ვთქვით ს. მუხურში მდ. ხობზე უკვე გაშენებულია სამუდამო მტკიცე ხიდი,—აგრეთვე მდ. ცივაზე სენაკის მაზრალმასკომის მიერ გაკეთებულია ხის ხიდი, გასაკეთებელია ორი ხიდი მდ. ოჩხომური და ზანა-წყალზე. ზანიდან სენაკამდე მეტი შეკეთება სჭირდება გზას, ვიდრე შემდეგ მუხურამდე. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ომის წინა წლებში ბევრჯერ იყო აღძრული შუამდგომლობა მაშინდელ მთავრობის წინაშე, იყო მრავალი დაპირებანი, შეგროვილ იყო თანხებიც, მაგრამ თუ ვის ჯიბეში ეს წავიდა დღესაც არ იცის გლეხობამ. ყველაფერმა ამან უნაყოფოდ ჩაიარა და ჩვენ ისევ ძველებურად მოწყვეტილი ვრჩებით მთელ ქვეყანას. ყველა ზემოაღწერილ მდგომარეობიდან გამოდის, რომ დასახელებულ თემების ადგილობრივმა ორგანოებმა მაზრალმასკომების საშუალებით იშუამდგომლონ უმაღლეს ორგანოებთან, რათა მიქცეულ იქნეს ყურადღება ამ გზაზე და თუ შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება შეტანილ იქნას საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის გზათა ქსელში.

—თან—გან—

ნუ ამახინჯებთ საბჭოთა კანონებს

(ქოპორტის თემ-ალმასკომის საყურადღებოდ)

სოფ. საგურამო (დუშეთის მაზრა)

ამ პატარა წერილის საშუალებით ჩვენ გვსურს მივაქციოთ ქოპორტის თემალმასკომის ყურადღება ერთ დაუშვებელ მოვლენაზე. საქმე შემდეგშია: 1918 წ. სოფ. საგურამოში გარდაცვლილა ერთი გლეხი ტატუა ლაბაური, რომელსაც დარჩენია 2 შვილი და 2 დესეტინა კარგი მიწა. ეს მიწა ამ ობლებისათვის ჩამოურთმევია საგურამოს „მიწის კომისიას“ და გადაუციათ ვიღაც კულაკ გლეხებზე, ხოლო ობლებისათვის მიუციათ უფრო ნაკლებ მოსავლიანი ადგილი, სათიბი, რომელიც ამჟამად ისევე ჩამოურთმევია „მიწის კომისიას“ და ობლები ცარიელი დაუტოვებია.

საკვირველია, თუ რათ ჩამოართვეს ობლებს ეს ადგილი; მასთან ისიც, რომ მიწის კომისები თითქმის მთელ რესპუბლიკაში გაუქმდა და საგურამოში კიდევ არ გაუქმებულა. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ქოპორტის ალმასკომმა და შეაჩეროს ზოგიერთი პირების თავხედობა და უვიცი მოქმედება ობლების წინააღმდეგ და ობლებს დაუბრუნოს თავისი კუთვნილი ადგილი.

გ. მცხეთელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ამინდის გამოსარკვევად.** სოფ. ცინახადოში (დუშეთის მაზრა) გაიხსნა ამინდის გამოსარკვევი (მეტეოროლოგიური) პუნქტი.

— **ღვინის ფასი.** ველისციხეში მცხოვრები გლეხები იძულებულნი არიან ჰყიდონ ღვინო ვედრო 2 მან. რითაც სარგებლობენ კერძო ვაჭრები.

— **გზების შეკეთება.** ზუგდიდის სამაზრო ალმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქ. უმაღ. ეკ. საბჭოში, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთების შესახებ.

-- **ზუგდიდის** ალმასკომმა დაადგინა ყველა თემალმასკომებთან დაარსოს სხვადასხვა კომისიები ალმასკომების მუშაობის გასაცხოველებლად.

-- **ბორჩალოს** ალმასკომის თაოსნობით ქ. ლიუქსემბურგში იხსნება ვენეროლოგიური კაბინეტი საწოლებით.

— **ახალციხის** ალმასკომმა გადასდო 250 მან. ალმასკომის დასასვენებელ სახლის შესაკეთებლად აბასთუმანში.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვრცელდება თუ არა ჩემზე მიწის კოდექ. მუხ. 40-ის შენიშვნა?

კითხვა

1923 წლის ნოემბერში მე გავყევი კანონიერი ქორწინებით სოფელში მცხოვრებ გლეხს, რომლის ოჯახი შესდგებოდა ჩემი ქმრის დედ-მამისა და ჩემი ქმრისაგან; მეოთხე წევრად კი შევედი ამ ოჯახში მე. ერთი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ ჩემმა ქმარმა და მისმა დედ-მამამ მე გამომაგდეს ოჯახიდან ჩემი სურვილისა და ნების წინააღმდეგ და სასამართლოს საშუალებით ჩემმა ქმარმა აიღო განქორწინების ქაღალდი. მე კი გალანძღული და ყოველივე სარსარს მოკლებული დავრჩი ოჯახის გარეშე.

გთხოვთ განმიმარტოთ, მე, როგორც შესულს მეოთხე წევრად სოფლის ოჯახში თანახმად მიწის კოდექსისა (მუხ. 40—შენიშვნა—55) რა წილი მერგება ამ ოჯახიდან ჩემი მისგან იძულებით გამოსვლის შემდეგ.

მარო სანიკიძე.

პასუხი

იმის შემდეგ, რაც თქვენსა და თქვენ ქმარს შორის სასამართლოს წესით მოხდა კანონიერი განქორწინება, თქვენ არ ითვლებით თქვენი ყოფ. ქმრის ოჯახის წევრად, ამიტომ მიწის კოდექ. მუხ. 40-ის შენიშვნა თქვენზე არ ვრცელდება.

თქვენ მხოლოდ დეკრეტი № 28-ის მუხ: 96 და 97-ის თანახმად გაქვთ უფლება მოსთხოვოთ თქვენს ყოფ. ქმარს მხოლოდ სარჩო-საბადებელი, თუ კი თქვენ ხართ შრომის უნარმოკლებული და უსახსრო (უმწეო, ღარიბი და უპატრონო), რის შესახებ უნდა აღძრათ სათანადო შუამდგომლობა სახალხო სასამართლოში თქვენი ბინადრობის მიხედვით.

ყველაფერი ის, რაც კი თქვენ მზითვის სახით მიგიტანიათ ყოფ. თქვენი ქმრის ოჯახში, უდავოდ გეკუთვნით თქვენ.

პარტიული და საბჭოთა ცხოვრება

პ ა რ ტ ი უ ლ ი

რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ 26 ივნისისათვის დანიშნული თათბირი

გლეხობის საკითხის [illegible]

გადაიდო პირველ ივლისისათვის

— დღეს, 25 ივნისს დღის სრულ 2 საათზე, ლენინის-რაიონის ქალთა განყოფილების ბინაზე დანიშნულია ორგანიზატორ ქალთა თათბირი.

დღის წესრიგში: 1. მოხსენება ადგილებიდან ქალთა შორის მუშაობის შესახებ, 2. საზაფხულო მუშაობის გეგმის გაცნობა, 3. მიმდინარე კითხვები.

— ქართულ მუშფაკის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ ხვალ 26 ივნისს საღამოს სრულ 5 საათზე, შესდგება კომუჯრედის მორიგი კრება. ამისათვის კომუჯრედის წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდენ აღნიშნულ დროს დაუგვიანებლად.

— ქალაქის რაიკომის მუშა ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს. 25 ივნისს, საღამოს 6 საათზე (მეოთხე რაიკომის ბინაზე) შესდგება ქალაქის რაიონის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

დღის წესრიგი: ანგარიშები ადგილებიდან.

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ კომუჯრედის წევრები, რომელნიც საზაფხულოდ სოფლებში მიემგზავრებიან არდაგებებზე უნდა გამოცხადდენ უჯრედის მდივანთან სათანადო მოწმობების მისაღებათ.

ვინც არ გამოცხადდება არ იქნება მოხსნილი უჯრედიდან.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კარელთან.

1. კონსტანტინე მიხეილის ძე კუზნეცოვი, 2. ეგნატე ივანეს ძე ლოსანი, 3. ალექსანდრე საღუშანია და 4. ისაკი კილაძე.

უნდა გამოცხადდენ დღეს, დილის 9 საათზე.

— ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება საწარმოო უჯრედთა მდივნების კურსები—სემინარიუმების მორიგი მეცადინეობა.

თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო-სააგიტაციო განყოფილების გამგე:
ბ უ დ ი ლ ო ვ ი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს 25 ივნისს, აღრიცხვა-სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში ამხ. ისაკოვთან:

1. აბუთიძე დომენტი—საქ. მუშფაკი, 2. გუმბარიძე გრიგოლ—ა | კ. უნივერსიტეტი, 3. ბახტაძე სევერიონე—სახ. უნ., 4. ფანცულაია ვასილ სახ. უნ. 5. ბოკერია კლემენტი—ა | კ. უნივ., 6. წითლიძე შალვა—ალმასკომი, 7. გველესიანი ირაკლი კონსტანტინეს ძე, 8. თოხაძე სიმონ ევსტაფის ძე—უჯ. № 32., 9. ცაგარეიშვილი შალვა ვლადიმერის ძე—ა | კ. უნივ., 10. ხუციევი მარტინ—ალმასკომი, 11. კურისპედიონი ირაკლი, 12. უნგიაძე მირიან ბესარიონის ძე—გემოკვეების კავშირი, 13. მაჩიტაძე მიხეილ—ა | კ. უნივერს., 14. გველია კლიმენტი—ალმასკომი, 15. კუჭუაშვილი კონსტანტინე—სახალხო კავშირი, 16. გიგაური ვლადიმერ ნიკოლოზის ძე—სახკომსაბჭო, 17. გაბუნია ივლიან მიხეილის ძე—საქ. მუშფაკი, 18. ქუმსიაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე—სახალხო კვების მუშაკთა კავშირი, 19. გრიგორიანი გაიკ კარაპეტის ძე—„ხლებოპროდუკტ“, 20. ანდრიაშვილი გიორგი—სახელმ. უნივერსიტეტი.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: გ. ს ტ უ რ უ ა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, საღამოს 6 საათზე, აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში:

1. თედო ზურაბის ძე ღლონტი, 2. იოსებ პავლეს ძე კაკაბაძე, 3. მიხეილ დ. კაკულია, 4. ანდრო გიგოს ძე დოლიძე, 5. გიორგი თედ. სარიკიახოვი, 6. არტემ ივანეს ძე ტერუნოვი, 7. გრიგოლ დავითის ძე პაპიეცკი-ოლგინ, 8. ვაგრამ ნ. ხარმანდარიანი, 9. ამ. კარაპეტის ძე ზოლპეტერი, 10. ვალერიან ალ. შენიძე, 11. იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა, 12. ბორის სერგოს ძე პოლუდინი, 13. ტიგრან ივანეს ძე კოპრიალოვი, 14. ბ. ო. დიმიტრიევი, 15. ხაჩიე სარქისის ძე ისკანდარიანი, 16. ბაგრატ ვას. სახოკიაშვილი, 17. ამბიაკ სააკის ძე გალუსტიანი, 18. კირილე კონსტანტინეს ძე ბერძნიშვილი, 19. ნიკოლოზ იაკობის ძე შირიაევი, 20. რომან იოსების ძე ხადიკოვი, 21. ხაჩატურ ავეტიკის ძე ნახაპეტოვი, 22. ალექსი კონსტანტინეს ძე სუხალოვი, 23. ვლადიმერ არ. სანაკოევი, 24. არონ ზინოვის ძე რახმანი, 25. ონისიმე დიმიტ. ცანავა, 26. გრიგოლ დ. ბუხნიკაშვილი, 27. რობერტ ივანეს ძე ჯუბისი, 28. ვარდენ ერმილეს ძე კაკაბაძე, 29. ვასილ ქრისტეფორეს ძე კვინიტაძე, 30. ჯამაილ ეპ. კულიევი, 31. ივანე თედორეს ძე მაისურაძე, 32. ვაგრამ კარაპეტის ძე მნაცაკანოვი, 33. პეტრე ვასილის ძე მურატოვი 34. მიხეილ მიხ. ხრისტოლიუბოვი, 35. კონსტანტინე ალექსის ძე ჩხეტია, 36. სერგო ალექსანდრეს ძე ხუბლაროვი, 37. კონსტანტინე სტურუა, 38. ცინცაძე ივლიან, 39. გიორგი ექვთ. სანაკოევი, 40. მაკსუდ ახმედ. მახსუდოვი, 41. სტურუა გიორგი თედორეს ძე, 42. კონსტანტინე ი. კალანდაძე, 43. კონსტანტინე ივან. გუბინი, 44. კონსტანტინე ივანეს ძე ხომერიკი, 45. სიმონ არჩიპ. ხარაბაძე, 46. ჩოდრიშვილი გიორგი მ., 47. ალექსანდრე ვასილისძე პოკროვსკი, 48. იაკობის ძე ყამარაული, 49. სიმონ პავლეს ძე ჯუღელი, 50. არტურ ვილჰელმის ძე რეინვალდი, 51. გრიგოლ მიხეილის ძე მიროტაძე, 52. აპოლონ მიხეილის ძე ჯაფარიძე, 53. იშან მარტიროსის ძე მკრტიჩიანი, 54. ფ. მ. ქანტურია, 55. ნიკოლოზ ლაზარეს ძე ეგოროვი, 56. გოგოშიძე ფილიმონ, 57. ნიკოლოზ ლიტოვკინი, 58. სტეფანე ქრისტ. ვართანიანი, 59. დავით გრიგოლის ძე ხასარიძე, 60. მიხეილ მუდრინი, 61. გობეჯიშვილი, კ. 62, ა. ქავთარაძე, 63. მ. ო. გახოკიძე, 64. კაწელსონ, 65. ს. ქავთარაძე, 66. მირიჯანაშვილი.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მარიამი, შვილი ალიოშა, ძმა ივანე, რძალი ელენე, ძმისშვილები: ანეტა, ლიდა, მინადორა, დავით, პეტრე და პისტი, დები ნინო და კატო, ბიძაშვილი ვასასი, იოსები, თეოფილე, ტარასი და დომნა, სიძეები, აქსენტი წულაძე, ზაქრო ყაჭიეშვილი, კოწია ჯიბუტი, ალექსანდრე ჯიბლაძე, ქვისლი მიხეილ ჯიბუტი, ცოლის ძმა კაპიტონ, ცოლისდა პისტი, სიდედრი ესმა, სიმამრი დათა კალანდაძე, მონათლულები კოწია, ლადიმე და თამარა კობიძეები აუწყებენ ნათესავებს—მათთვის უძვირფასესი, ძველი რევოლიუციონერის

სილოვან დავითის ძე კობიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება შაბათს, 27 ივნისს პეტრე პავლეს სასაფლაოზე. გამოსვენება სრულ სამ საათზე საკუთარ ბინიდან: ნავთლუღი იმედის ქუჩა № 12. № 1751—3—1

ღრმად დამწუხრებული დედმამა ვერა და სევერიანე დან-ძმანი შალიკო, მარუსა და ზინა, ბიძანები: ვასილი, მამიდები ეფროსინე და პელაგია, ბაბუა და ბებია ბურდღუ და ნინო ფირცხალავები და სიძე ივლიანე, მამიდა ივლიტა კანკავანი დანათლია ირინა პირტახია და პორფილე ბოკუჩავა, აუწყებენ ნაცნობ და ნათესავებს-ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნინა სევერიანეს ასული ფირცხალავა

რომლის გამოსვენება მოხდება დიდუბიდან შაბათს, 27 ივნისს ნაშუადღევის 4 ს. კანკავას სახლიდან დაკრძალვა წმ ნინოს სასაფლაოზე
№ 1763—1—1

პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი“-ს

ცალკე ხელისმომწერლებმა ფოსტის ბარათზე უნდა გარკვევით აღნიშონ სახელი, გვარი, მისამართი, გაზეთის რაოდენობა და გაწერის ვადა.
2. ფოსტის ბარათზე აგრეთვე საჭიროა აღინიშნოს უახლოესი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.
3. კოლექტიური ხელისმომწერლები მოვალენი არიან გადმოგვიგზავნონ სიები ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ შემოწმებული.
4. ხვედრი ფულის გადმოგზავნა უნდა ხდებოდეს უთუოდ გაზეთის გამოწერისთანავე.
0—5 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

მიხა წოდრიშვილის
სახელობის
შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების
კ ლ უ ბ ი
(პლეხანოვის პროსპექტი № 66)
ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.
კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.
ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია
კლუბთან გახსნილია
ბ უ ფ ე ტ ი - რ ე ს ტ ო რ ა ნ ი
აზიური და ევროპიული საჭმელებით.
ფასები ხელმისაწვდომია
საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.
ნის. № 1323—25—9

კინო „ეთერი“ კინო
ამ დღეებში მსოფლიო სენსაცია
[illegible]
ცა-ტიუ
ა-ტი
[illegible]
(ავტომობილი № 13) (ავტომობილი № 13)
სენსაცია!!! სენსაცია!!! ადევნეთ თვალყური
ნის. 1377. 1—1

შავიქარის წარმოების სამმართველოს
სამშენებლო
კომისია
ამით აცხადებს, რომ
12 ს ათზე დილით, 1 ივლისს ამა 1925 წ.
ჭიათურის კანტორის შენობაში
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა
შეჯიბრება
ალესვისა და სალესავი სამუშევრებისა ჭიათურის
საავადმყოფოსი
განცხადება უნდა იქნეს შემოტანილი საამშენებლო კომისიის თავმჯდომარის სახელზე დახურულ კონვერტში. განცხადებების მიიღება ყოველ დღე 2 საათამდი გარდა უქმისა ჭიათური კანტორაში. შეჯიბრების დაწყებამდი უნდა იქნეს შემოტანილი საწინდარის სახით 250 მანეთი ყოველ ცალკე სამუშევარზე.
ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე 12—1 ს. გარდა უქმისა,
ჭიათურის კანტორაში
ნის. 1373. 2—2

ს.მ.უ.ს. ს.მ.უ.ს.
„ცენტროტრამოტი“
საზაფხულო სახალხო მიმოსვლა
თბილისი—ვლადიკავკაზი
„ კოჯორი
„ მანგლისი
და აგრეთვე ყველა მიმართულებით.
კანტორის მისამართი: პუშკინის ქუჩა № ტელ. 20—96. (ყოფილ თამამშოვის ქარვასლაში) კანტორა ღიაა დილის 7 საათ. საღ. 7 საათ.
0—11 ნ. 1249

თბილისის სასაკლაოების
ყინულის
ქარხანამ
უკვე დაიწყო მუშაობა და იძლევა თავის ნაწარმოებ ყინულს მხოლოდ ნაღდი ანგარიშით შემდეგ ფასებში:
ადგილობრივ სასაკლაოებში 35 კ. ფ.
და მიტანით ქალაქში . . 45 კ. ფ.
ყოველივე მოლაპარაკება შეიძლება სასაკლაოს დირექტორთან
დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდის თვითონ სასაკლაოებში პირადათ ან ტელეფონით №№ 17—94 და 8—66.
ნ. 1365 3—3.

„მუსიკალური კომედიის“ თეატრი.
დღეს, 25 ივნისს
„პოლონური სისხლი“
სპეციალური კოსტიუმებით
ახალი ორიგინალური ბალეტი
დასაწყისი სრულ 9 საათზე
დასასრული არა უგვიანეს 12 ნახ. საათისა
ბაღი „არტი“ მელ. პრ. № 105.
ბაღი „არტი“ მელ. პრ. № 105.

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლო. ალმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

აცხადებს, რომ ის 30 ივნისს 1925 წ. შუადღის 2 საათზე სახლში № 7 კოჯორის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ანა ზალინოვის მოძრავ ქონებას: ხალიჩებს, ხის ავეჯს, ჭურჭელს და სხვ. შეფასებულს 160 მანეთად, სერგო ცატუროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საშინაო სახალხო სასამართლოსაგან 14 აპრილის 1925 წ. თარიღით, № 1103 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა.

სასამართლო ალმასრულებელი ა. გეგეჭკორი.

№ 1758—1—1

გარე უბნის სასამართლოს ალმასრულებელი ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ 29-ივნისს, დღის 12 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ერთი ბუფეტი ინჟინერ გიორგი სვერდლიკოვისა შეფასებული 100 მან. ამშენებელთა კავშირის და მუშებისა 96 მან. 40 კ. დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

სასამართლოს ალმასრულებელი კ. ოდიშარია.

№ 1760—1—1

ქ. თბილისის მე-5 უბ. ფინინსპექტორი

თანახმად სახელმწიფო გადასახადების აკრეფის წესდების მე-7 მუხლისა, აცხადებს, რომ ამა წლის 28 ივნისს, დღის 12 საათზე, ხაზინის ქუჩ., საფინანსო შემოსავალ-გასავლის სალაროს შენობაში გაიყიდება სახელმწიფო გადასახადების ნარჩენის დასაფარავად ვაგან მარქარის ძე ხანოიანის კუთვნილი ნივთები: 4 ფარაგანის ხალიჩა და 1 სარკე.

ქ. თბ. მე-5 უბ. ფინინსპექტორი ს. ცაგარეიშვილი.

ნის, № 1378—1—1

ა | წ. 27 ივნისს დღის 12 საათზე, თბ.
ალმასკომის კომუნალურ განყოფილების საწყობში
(მადათოვის კუნძულზე) დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სხვა და სხვა საქონელის და ინვენტარის გასასყიდათ
ნის. № 1379—1—1 კომისია.

დავკარგე გერმანე ილარიონის ძე გოგუამ კომპარტიის სა-კანდიდატო ბილეთი № 1916. ჩ. გ. 1—1 1752

დავკარგე ივანე ბურდღუს ძე ... გახიამ პარტ-ბილეთი № 495473. ჩ. გ. 1—1 1753

დავკარგე ლუკა ივანეს ძე ქაჯაიამ მთლიანი პარტ-ბილეთი № 496048. ჩ. გ. 1—1 1752

დავკარგე 15 ივნისს ლუდის ქარხნის სატვირთო ბარათი გაცემული სახსპირტის მ-6 ქარხნისა, რომელიც შეიცავს 50 ფურცელს, მასში შეუვსებელი 34 ფურცელი 369 ნომრიდან 402-მდე. ჩ. გ. 1—1 1761

დავკარგე გემო-კვების კავშირის სა-წევრო წიგნაკი და ... ზღვევ სალაროს წიგნაკი ანანი თეიმურაზის ძე რამიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1762

დაიკარგა ბეჭედი ... „ელექ. მექ. შრ. ... ნადი „არსმენილი ხელოვნებისა“ რუსულად: „Центр. прав. электр-мех. произв. Артели „Арсменили хеловнеба“ ...“ აგრეთვე მოწმობები, საბუთები და სხვ. ჩ. გ. 1—1 1764

დავკარგე პირადობის წიგნაკი შალვა ზაქარიას ძე ყორღანიშვილის სახელზე № 719. ჩ. გ. 1—1 1753

დავკარგე სამოქალაქო წიგნაკი № 3836. მიხეილ დავითის ძე ყვარელაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1754

დავკარგე კოსტა მელიტონის ძე ჩემიამ მთლიანი პარტბილეთი № 495964. ჩ. გ. 1—1 1752

დავკარგე ოზურგეთის 1—7 წლიანი შრომის სკოლის კურსების დამთავრების მოწმობა № 93 ვასო პ. კემალმაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1757

დავკარგე სევერიანე ექვთიმეს ძე ნაფარეიშვილმა პირადობის მოწმობა № 245 და წესდება № 2540 ჩ. გ. 1—1 1759

დავკარგე შალვა ლომთაძემ დაზღვევის წიგნაკი № 11816. ჩ. გ. 1—1 1750

დავკარგე სახლის წიგნი მთიულიშვილის ნიკოლას როსცოვსკის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1755

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 20655 ვარლამ ლავრენტის ძე კაციტაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1756

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სოფ. წულუკიძის ქ. № 4